# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 ივლისი, 2015 წელი.

№130 (7775)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.


## განახლებული ძიუდოს აკადემია და კალათბურთის დარბაზი ოფიციალურად გაიხსნა

ეს პრესტიჟია საქართველოსი

**გუშინ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015-ის ფარგლებში დიღმის მასივში მდებარე ძიუდოს განახლებული აკადემია და ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის დარბაზი გაიხსნა.**



სპორტული ობიექტების გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან, ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანთან, თბილისის მერ დავით ნარმანიასთან და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, განახლებული ძიუდოს აკადემია ძიუდოს ფედერაციას ოლიმპიური ფესტივალის დასრულების შემდეგ საკუთრებაში გადაეცემა.

ძიუდოს აკადემიაში სარემონტო სამუშაოები 2014 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. კაპიტალური რემონტი ჩატარდა მთელი აკადემიის მასშტაბით, რა დროსაც გარემონტდა აკადემიაში მდებარე ძიუდოს 4-ვე დარბაზი.

ძირითადი დარბაზი, სადაც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ძიუდოს შეჯიბრი გაიმართება, გათვლილია 700 მაყურებელზე. ასევე კეთილმოეწყო 3 სავარჯიშო დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და საექიმო პერსონალის ოთახები, ძიუდოს ფედერაციის სამუშაო ოთახები და სხვა ინფრასტრუქტურა, ძიუდოს აკადემია აღიჭურვა თანამედროვე სპორტული ინვენტარით.

ოლიმპიადის ფარგლებში ძიუდოს ტურნირი განახლებულ ძიუდოს აკადემიაში 28 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 50 ქვეყნის 350-მდე ძიუდოისტი გოგონა და ვაჟი.

ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის დარბაზს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, გარემონტდა 2 დარბაზი – მთავარი დარბაზი, რომელიც 2000 მაყურებელს იტევს და მცირე დარბაზი, სადაც აშენდა ტრიბუნა 340 გულშემატკივრისთვის. კეთილმოეწყო გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები.

ასევე გამოიცვალა საფარი, დამონტაჟდა თანამედროვე ტაბლოები, ვიდეოტაბლოები და განათების სისტემა, ფარები და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა. ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში 27 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ვერის ბაღში მდებარე საკალათბურთო დარბაზი უმასპინძლებს ვაჟთა და გოგონათა კალათბურთის ტურნირს, სადაც მონაწილეობას 8-8 ქვეყნის ნაკრებები მიიღებენ.



**გიორგი შოთაძე**

იხ. 10 გვ.

## ② საქართველოს მთავრობას პარალელური მთავრობა ჰყავს?!.



## გოგლა შვანია: „ნიკალა", რომელიც თითქოსდა იმ „უბედური" შემთხვევის მიზეზი გახდა, იმ დღეს საერთოდ არ ჩართულა

## „შვანიას საქმე"

## ნინო-ქადაგიძე-შვანია: ხარშილაძე და ძაძამია იტყუებიან ⑤



## გოგი თოფაძე: ვილაცამ ხე-ტყე ჩინეთში უნდა წაიღოს და ჩვენ პარკეტი იქიდან უნდა შემოვიტანოთ?! ⑥

**პრემიერმა ხოკრიშვილს ორჯერ დაურეკა... რომელ ეკონომიკაზე საუბრობენ, როცა საათივით აწყობილი ქარხანა გაჩერებულია?!**

## თემურ ჯაფარიძე: როგორი მოუწესრიგებელიცაა ახალმშენებლობები, ისეთივე მოუწესრიგებელია ჩვენი საზოგადოებაც! ④



◎ ჭირი დანახული ჯობს

# საქართველოს მთავრობას პარალელური მთავრობა ჰყავს?!.

**დიახ, დიახ, ჰყავს და თანაც თავსაც აჭარბებს და ამეტებს 2012 წლის 1 ოქტომბერს სახალხო არჩევნებში კანონიერად გამარჯვებულ მთავრობას, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის გზას ადგას და ყველა პოლიტიკურ სარეველასა და ნაგერალას, თავისდა საზიანოდ და სახელის გასატეხად, წამოაყელყელა-**






**ვებინა მთელი ამ წლების განმავლობაში დღენიადაგ ლაფდასხმული თავი.**

თუ არა სარეველა და ნაგერელა მაშ, აბა, ვინ არიან არასამთავრობოდ წოდებული გიგაურები, ლომჯარიები, ნაცვლიშვილები, შარაშენიძეები, ხოშტარიები, ლაგაზიძეები, ჩიტაძეები და ყველას რა ჩამოთვლის?!.

მე შენ გეტყვი, თავიანთი მკრეხელური, ანტისაზოგადოებრივი და ძალიან, ძალიან ხშირად ანტისახელმწიფოებრივი შხამიანი აზრების „გასაბოლებლად" ეს ვითომ სამართლიანობისთვის მებრძოლნი ცხრა თოკზე გადამხტარი ნიკუნიკა გვარამიას ვიღაც-ვიღაცათაგან უხვად „დარეკლამებური" პროპაგანდისტული ჯოჯოხეთის მანქანას თავიანთი ერთი ადგილის ქეიფზე არ იყენებდნენ! იყენებენ და მერე როგორ! სუყველას უკლებლივ კრიჭაში დგომის საერთაშორისო დიპლომი უდევს ჯიბეში. სუყველა ერთად და ცალ-ცალკე ძვალივით ადგას კანონიერ მთავრობას ლიბერალურ-დემოკრატიულად მფეთქავ გულზე და თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევს (აქ, ჩემდა უნებურად, პოლიტიკურ თრომბებად წარმომიდგნენ გონებაში ბევრი თვალსაზრისით ავად სახსენებელი, ნამდვილად პარტიული ოღრაში გიორგი გაბუნია და ძველი გოთვერანი, ვითომ ეკონომისტი აკაკი გოგიჩაიშვილი!).

ცნობილი ამბავია: ფულს ვინც იხდის, ორკესტრიც იმის დაკვეთილ მუსიკას უკრავს. ჩვენი ეგრეთ წოდებული არასამთავროების შემთხვევაში ყველაფერი აშკარაა და ცხადია.

**საია-ს ახალ ფუმფულა თავმჯდომარეს რომ ჰკითხეს** (ძველი რატომღაც თვით პრეზიდენტის მრჩევლის სავარძელში მოკალათდა და ახლა იმ სასახლიდან გვიქნევს არა ერთ სიბინძურეში ამოვლებულ თათს!), **თქვე კაი ხალხო, უცხოეთიდან რატომ ფინანსდებითო?** ნაცვლიშვილის ქალმა არც აცხელა და არც აცია: **აბა, ივანიშვილი რომ გვაფინანსებდეს, ბევრ რამეზე მოგვიხდებოდა თვალის დახუჭვაო, ახლა კი მიუკერძოებლები ვართო.**

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ამ უცხო ფულით მოსყიდული (დიახ, დიახ, მოსყიდული!) ახალგაზრდა იურისტის ანა ნაცვლიშვილის ლოგიკა: **ვიღაც გადამთიელთ თურმე კარგი უნდათ ჩვენი უბედური ქვეყნისთვის, თვალებს ფართოდ გვახელინებენ, რათა მეტი ცუდი დავინახოთ, ხოლო ცნობილ ქველმოქმედსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ბიძინა ივანიშვილს თურმე კარგი არ უნდა თავისი სამშობლოსთვის, რომელსაც ალალად მილიონებს ახარჯავს.**

**მე რომ შემეძლოს და საამისო ძალა შემწევდეს, ნამდვილად ასე არ გავაჯეჯილებდი მთელი ათი წლის მანძილზე თავშერცხვენილი ნაციონალების ნარჩენებსა და კუდებს, არც ყოველგვარ საზღვარს გადასულ „რუსთავი-2"-ს და არც**





**ეგრეთ წოდებულ არასამთავრობოებს, რომლებიც აშკარად ძველი ჭაობიდან ყიყინებენ ასევე აშკარად ქვეყნისა და ხალხის საზიანოდ.**

**რაც შეეხება ჩვენ ლიბერალურ-დემოკრატიულ მთავრობას, კარგი იქნება, თუ იგი საბოლოოდ არ დაემსგავსება იმ რქებდადგმულ ქმარს, რომელსაც ცოლის საყვარლებთან „მეგობრობა" კარგ ტონად მიაჩნია.**

**ვახტანგ აბდუშელიშვილი,**
თბილისი.

◎ ალიან-ჩალიანი

## პრეზიდენტი ფრანგეს ულოცავს

**„ბატონო პრეზიდენტო, ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — ბასტილიის აღების დღეს.**

**14 ივლისი ის ღირსშესანიშნავი თარიღია, როდესაც ქართველი ხალხი და პირადად მე, გამოვხატავთ განსაკუთრებულ პატივისცემას საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის მიმართ და კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩვენს მტკიცე მეგობრობას.**

**14 ივლისი საფრანგეთის დემოკრატიული და ლიბერალური სახელმწიფოს ალმშენებლობის დაწყების სიმბოლოა. ეს არის მოდელი, რომელიც მაგალითს წარმოადგენს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს მსგავსად აშენებენ და აძლიერებენ საკუთარ დემოკრატიას.**

**ბატონო პრეზიდენტო, ეს დღე კიდევ ერთხელ მაძლევს შესაძლებლობას, რათა გამოვხატო ჩემი მადლიერება თქვენდამი, ასევე ფრანგი ხალხისადმი ამ რთულ პერიოდში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის.**

**ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ მინდა მთელი გულით გისურვოთ მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატებები თქვენ და თქვენს მშვენიერ ქვეყანას", — ნათქვამია საფრანგეთის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ მისალოც წერილში.**

## ამ ეტაპზე რუსეთთან დიალოგის ფორმატის გადახედვა ან გაფართოება არ იგეგმება

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე რუსეთთან დიალოგის ფორმატის გადახედვა ან გაფართოება არ იგეგმება.**

**ამის შესახებ პრემიერმა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადების კომენტირებისას და იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, იგეგმება თუ არა აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოება.**

**„ამ ეტაპზე არ იგეგმება არავითარი ფორმატის გაფართოება. ის ფორმატი, რაც ჩვენ გვაქვს, დარჩება. მეორე ფორმატი არის ჟენევის დისკუსიები. ასე, რომ არ ვაპირებთ ამ ეტაპზე რაიმე ფორმატის გადახედვას ან გაფართოებას", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

## დაზარალებულთათვის გაცემული თანხა არ დაიბეგრება

**თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული პირების მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი, ასევე 2015 წლის 14 ივნისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება.**

**შესაბამისი ცვლილებები „საგადასახადო კოდექსში" აისახება, რომელიც მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა.**

**ამავე პროექტით, 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, ელექტროენერგიის მიწოდებიდან წარმოშობილი ვალის მოვალესთვის პატიების შემთხვევა, მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებად არ ჩაითვლება და დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საფუძველი არ იქნება. ასევე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ელექტროენერგიის მიწოდებიდან წარმოშობილი ვალის პატიების შედეგად ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი.**

◎ სარედაქციო ფოსტიდან

# მოაშორეთ ეკრანებს ბიზნესმენი ჟურნალისტები!

### გამოხმაურება თამაზ გორდელაძის წერილზე „პორტრეტი პოლიტიკური მაკიაჟის გარეშე"

(გაზეთ „ს.რ." 4.VII. 2015)

**შალვა ნათელაშვილს ორჯერ მივეცით ხმა და ორჯერვე შევცდით. ვერ შევიცანით მისი სახე, საქმე თუ ქმედება, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. შალვა ვერ პატიობს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ მას „მასხარა" უწოდა. ვახტანგ ხარჩილავამ საერთო გაზეთში დაწერა: „ქართველი კაცი, რომელიც ბატონ ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა, ან დაქირავებული პროვოკატორი", ხოლო ქალბატონი გურანდა გაბუნია ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციიდან" წავიდა, ვერ აიტან ბ-ნ ბიძინა ივანიშვილზე ცუდს, ძვირს, უსამართლო კრიტიკასო. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბიძინა ივანიშვილს, როგორ შეიძლება მას დაუკარგო თუნდაც ის, რომ მან, ქართველ ხალხთან ერთად, უსისხლოდ, უმსხვერპლოდ შეუძლებელი შეძლო — ნაციონალური რეჟიმი დაამხო.**

15 წელზე მეტია ბ-ნ შალვა ნათელაშვილი — ქართველი ჟირინოვსკი ხელმძღვანელობს ლეიბორისტულ პარტიას და უსირცხვილოდ ლანძღავენ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას — თანაც ზიზღის ენით.

ფიფას პრეზიდენტი მეოთხედ აირჩიეს და მეხუთე დღეს გადადგა, რადგან მის ქვემდებარე სისტემაში კორუფციაზე იყო ლაპარაკი! ეს ქმედება სამართლიანია, მაგრამ ჩვენი ლეიბორისტები არ მიდიან არენიდან! საკაშვილი და მისი სატელიტები ისევ მიიწევენ ხელისუფლებაში — ანგარიშს არ უწევენ ხალხს, რომელსაც აღარ უნდა მათი მობრუნება.

სამწუხაროა, რომ ოპოზიცია და არასამთავრობოები ბინძური მეთოდებით ებრძვიან ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების საზიანოდ, რისთვისაც იყენებენ ტენდენციურ, არაობიექტურ „რუსთავი — 2"-ს და მათ წამყვანებს გაბუნიას, კვესიტაძეს და სხვებს, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული პროვოკაციული კითხვებით ხალხს ზიზღს უჩენენ. ამით ებრძვიან ივანიშვილს, ღარიბაშვილს და ჩვენს მიერ არჩეულ მთავრობას.

მოიწვიეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ამ ერთ წერილზე სასაუბროდ ნათელაშვილი, გუგავა და ძმანი მათნი და კარგად დათვალეთ რამდენი სატელეფონო ზარი შემოგივათ და რა საკითხებზე, მერე გაგვეცით პასუხი გაბუნიავ, გრიგოლიავ და ძმანო მათნო.

ამის შემდეგ თქვენს რეიტინგებსაც შევაფასებთ.

ხალხს ნუ დაღლით ტენდენციური შოუებით, ზიზღის ენით ლაპარაკით, პირადი ამბიციებით, შეურაცხყოფით, არ უნდა გველირსოს 25 წელიწადში ქვეყნის აღმშენებლობის დაწყება? თქვენ ამით თქვენს ბიზნესს აკეთებთ და მდიდრდებით — ზიზღის ენით გადაცემებით კი ამომრჩეველს ტვინს ურეცხავთ. ხალხი ცოდვაა, დაასრულეთ ხალხის დაპირისპირება.

დაბოლოს. ლეიბორისტებო და პირადად შალვა ნათელაშვილო, არ გრცხვენიათ და კიდევ გამოხვალთ ტელევიზიით, რადგან დღევანდელი ჟურნალისტები — შეკვეთილი საავტორო გადაცემების წამყვანები და შენი შემკვეთები ხშირად გიწვევენ სამასხარაოდ და ფულის გასაკეთებლად გადაცემებში (ისე, ძალიან „ეშმაკი" ხარ და გგონია ჩვენ გვატყუებ ან ვერ ვიგებთ შენს ქცევას!), გულში კი დაგვცინი იმ ყბედობით, რასაც შენს გამოსვლებში კადრულობ. ალბათ ჩემსავით ბევრი მოატყუე და ხმა მიაცემინე შენთვის, მაგრამ ახლა ბოდიში უნდა მოგვიხადო პრესით და ტელევიზიით ყველას, ვინც შეგვაცდინე და ჩვენი ხმა მოტყუებით მიისაკუთრე.




მოვუწოდებ ტელეწამყვან „ვარსკვლავებს" გაბუნიას, გრიგოლიას, კვესიტაძეს და სხვებს, შეწყვიტეთ თქვენს გადაცემაში „მასხარა" ბიზნესმენის შალვა ნათელაშვილის პარპაში და ქართველი ხალხის ლანძღვა.

**თენგიზ კიკნაძე,**
**სოფიო მაისურაძე.**

**P. S. გრიგოლიასთან თუ ვინმემ რაიმე თქვა ნაციონალებზე, იმ წამში ეტყვის, კორექტულადო, ხოლო ივანიშვილზე რაც უნდა ცუდი თქვან, არასდროს კორექტულობისკენ არ მოუწოდებს.**

**ყველა ჭორს „რუსთავი-2" ყველაზე ადრე იგებს და ავრცელებს.**

**ძალიან ბევრი ლაპარაკობს, ამ გადაცემების წამყვანები გაბუნია, კვესიტაძე, გრიგოლია და მათი კოლეგები ხალხის გონების გამოსარეცხად და ზიზღის დასათესად თითო გადაცემაში 5 000 დოლარს იღებენო, ამ ტელებიზნესში გაბუნიას, კვესიტაძეს, გრიგოლიას და მათ კოლეგებს ძალიან ბევრი კოლეგა-პროვოკატორი ყავთ დასაქმებულიო.**

**ასევე დაუღალავად რომ ეძებენ და აკრიტიკებენ დიდი ხელფასების და პრემიების აღებით, გაასაჯაროვონ თავიანთი შემოსავლები და ასევე ისიც, რა წყაროდან იღებენ ამდენ ხელფასს და პრემიალურ ანაზღაურებას!**

**თ.კ. ს.მ.**

◎ მათქმევინეთ

# კვლავ იყიდება საქართველო?!

**„მათქმევინეთ“ – ეს რუბრიკა, წლების წინათ, გაზეთ „თბილისშიც“ შემოვიღეთ.**

ნეტა იმ დროს! – არა იმიტომ, რომ „თბილისი“ ჯერ კიდევ გამოდიოდა, არამედ იმიტომ, რომ საქართველო ჯერ კიდევ იყიდებოდა. ჯერ კიდევ იყო დარჩენილი...

„ნაციონალურმა“ მთავრობამ „თბილისიც“ დახურა და (ამას ვინ ჩივის) საქართველოც ბოლომდე გაყიდა.

ოღონდ, ამას მხოლოდ „ნაც(იონალ)ებს“ ვერ დავაბრალებთ.

საქართველო იყიდებოდა **„ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში...** იყიდებოდა, ვისაც რამდენი სურდა და როგორც უნდოდა: **„ნისიად, უფასოდ, დროებით და სამუდამოთ, ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით“...**

დიახ, ჩვენი დახმარებით!..

საქართველოს ყიდდა **„ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.“**

მღვდელიცო! – ნიკო ლორთქიფანიძემ...

საქართველო იყიდებოდა მაშინ, როცა სოხუმის დაცემის შემდეგ, შევარდნაძეს დიდგორში გამარჯვებული დავით აღმაშენებელივით ვხვდებოდით;

როცა სამეგრელოს აწიოკების შემდეგ, ჯაბა იოსელიანს რაინდის წოდებას ვანიჭებდით.;

როცა სამშობლოსათვის თავგანწირულ პირველ პრეზიდენტს სამშობლოდან ვაძევებდით...

ალბათ, მეტყვიან, ჩვენ, ხალხი, რა შუაში ვართ, ამ ყოველივეს ჩვენ ხომ არ ვაკეთებდითო?!

სწორედაც შუაში ვართ, რადგან ამ ყოველივეს ვეგუებოდით.

ჩვენ ვხვდებოდით;

ჩვენ ვანიჭებდით;

ჩვენ ვაძევებდით...

ხოლო ხალხი, რომელიც ამას ეგუება, ხალხი აღარ არის!

ერი – მით უმეტეს!..

ხალხი, რომელიც სააკაშვილს წინამძღოლად აირჩევს და მის აღვირახსნილობას ცხრა წელიწადს მოითმენს, საკუთარ თავს ერად ვერ ჩათვლის;

ეკლესია, რომელიც ამ ყოველივეს კურთხევას მისცემს, ნუღარ გვიკვირს, რომ თეა-ნინიებისა და დეისაძე-ბურჭულაძეთა საბურთაოდ იქცევა...

ბურჯანაძე რომ იტყვის, ჩემი დონის პოლიტიკოსი საქართველოში არ არისო, უნდა მივხვდეთ, რომ თვითონ საქართველოც აღარ არის“.

„რა ძნელია, რუსთაველო, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე: ეს არ არის საქართველო“...

ნეტავ კონკრეტულად რა აწერინებდა გალაკტიონს ამ მწარე სიტყვებს?!

იმ დროს, როცა ოკუპანტი რუსეთი ისედაც დამცრობილ ქართულ მიწა - წყალს კიდევ უფრო ამცრობდა, ძალგულოვანი ქართველები ენერგიას ფეხბურთის ბილეთების შესაძენად გამართულ ომში ხარჯავდნენ.

იქნებ იქ წავსულიყავით და მცოცავ ოკუპაციას წინ აღვდგომოდით, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც ყრუ და უგულო ევროპის წინაშე, ყველას ერთიანად ხომ ვერ ამოგვხოცავდნენ?!

მაგრამ ფეხბურთი (თანაც არაქართული!) ხომ უფრო მნიშვნელოვანია?!

* * *

ორიოდე წლის წინათ ბავშვთა თეატრში, რომელსაც „მეორე სახლი“ ჰქვია, პატარებმა ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატიურები“ წარმოადგინეს. უნდა გენახათ და მოგესმინათ, როგორ წარმოსთქვამდა ცხრა წლის ლუკა გაბიძაშვილი ამ მწარე ფრაზებს: „იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

რა ავად სიმბოლურია, რომ პატარა ლუკას ის თეატრიც გაუყიდეს, უფრო ზუსტად, ყოფილი მიხეილის საავადმყოფო, რომლის სარდაფშიც ეს პაწია და უნიკალური თეატრია(ჯერჯერობით) შეკედლებული...

რა მწარედ გენიალურია ნიკო ლორთქიფანიძე — ნახეთ, როგორ წერს: **„იყიდება... ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით“...**



**ნუთუ ბავშვებითაც?!**

**ღმერთო, შენ უშველე საქართველოს.**

**თუ მართლა დედა მარიამის წილხვდომილია...**

**იოსებ ჭუმბურიძე**

◎ როგორ შევაჩეროთ რუსეთი?!

**ორჭოსნის სიახლოვეს დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება იქნება ერთ-ერთი საკითხი, რაზეც პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ისაუბრებს. ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა 15 ივლისს პრაღაში გაიმართება. როგორც აბაშიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, პრაღაში უმწვავესი საუბარი იქნება.**

**რას უკავშირდება რუსი ოკუპანტების მიერ ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება და რა გზა რჩება საქართველოს? ამ საკითხებზე ზურაბ აბაშიძე გვესაუბრება.**



# „2008 წლის ნოემბერში(!) „დესერტად“, მოსკოვში საქართველოს კულტურის დეკადის ჩატარებას სთავაზობდნენ...“

**– ბატონო ზურაბ, რას უკავშირებთ სოფელ ორჭოსნის სიახლოვეს ე.წ. საზღვრის 300 მეტრით გადმოწევას, რუსეთის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი, შეიძლება შეფასდეს როგორც პროვოკაცია?**

– ძალიან სახიფათო პროვოკაციაა. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრობლემურ რეგიონში ვცხოვრობთ, უამრავი სირთულეებით და მოუგვარებელი კონფლიქტებით. ამ ვითარებაში კიდევ ასეთი პროვოკაცია ძალიან სახიფათოა. ამას შეიძლება მოჰყვეს ვითარების გამწვავება, დესტაბილიზაცია რეგიონში. ამ თვალსაზრისითაც ეს ფაქტი ძალიან სახიფათო ნაბიჯია. ამან შეიძლება ისეთი დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რომ სიტუაცია უკონტროლო გახდეს. ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლო ზარალის გამო უაღრესად შეწუხებული და შეშფოთებულია.

**– მიუხედავად იმისა, რომ ფორმატი არ ითვალისწინებს, კარასინთან შეხვედრის თემა იქნება თუ არა ორჭოსნის სიახლოვეს დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება და რა შედეგს შეიძლება ველოდოთ?**

– ძალიან რთულია რამე მოლოდინების შექმნა. ქართული მხარე გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს. მართალია, ამ შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებს ასეთ ფაქტებზე მსჯელობას, თუმცა, სწორედ ამაზე, ჩემი მხრიდან პრაღაში უმწვავესი საუბარი იქნება. ეს არის არა მარტო საერთაშორისო, სამართლის, არამედ ელემენტარული ადამიანური ნორმების დარღვევა, რისი შეგუება ქართული მხარისთვის მიუღებელია.

**– ვიცე-პრემიერის განცხადებით, აბაშიძე-კარასინის ფორმატი ამ მიმართულებით სამუშაოდ შეიძლება არ გამოდგეს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სხვა ფორმატი იმისთვის, რომ პოლიტიკური მიმართულებით ურთიერთობების დალაგება მოხდეს. იმ ფონზე, როდესაც საუბარია ჟენევის ფორმატის წარუმატებლობაზე, შესაძლებელია, რომ დამატებით ახალი ფორმატი შეიქმნას?**

– ვერ ვიტყვი, რომ ჟენევის ფორმატი უშედეგოა. შეიქმნა მექანიზმი, რომელიც მოქმედებს, იგივე კონფლიქტების პრევენციის კუთხით. ამაში ჩართულია ჩვენი დასავლელი პარტნიორები და საერთაშორისო ორგანიზაციები. თავისთავად, ძალიან ღირებული ფორმატია. რაც შეეხება პრაღის ფორმატს, რაც ჩვენ დავისახეთ მიზნად, სავაჭრო და სატრანსპორტო ურთიერთობების აღდგენა, გარკვეული ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარება, ეს კონკრეტული საკითხები მეტ-ნაკლებად გვარდება.

რაც შეეხება ახალ ფორმატს, ეს კარგად მოსაფიქრებელია და მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. უპირველესად უნდა განისაზღვროს რეალისტური ამოცანა და მისი გადაჭრის გზები. ამის შემდეგ შეიძლება უფრო მეტად დაკონკრეტება და ახალ ფორმატზე საუბარი.

**– ფიქრობთ, რომ დარჩენილია რამე რეზერვი?**

– ქართულ-რუსულ ურთიერთობებში უამრავი მოუგვარებელი პრობლემაა. ყოველთვის უნდა ვიფიქროთ გამოსავალზე და არა ჩვენი ოპონენტების მიდგომაზე. გავაუქმოთ, დავხუროთ, აღარ ველაპარაკოთ, აღარ გავიხედოთ და ა.შ. ეს აბსოლუტურად ჩიხური მიდგომაა.

**– თუმცა, ანალიტიკოსები თვლიან, რომ შედეგიანი იყო ის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას ჰქონდა დასავლეთთან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან მიმართებაში...**

– რა შედეგებზე საუბრობენ? წინა ხელისუფლების აგრესიულმა და ვითომ რუსეთისადმი კრიტიკულმა პოლიტიკამ შედეგად ის მოიტანა, რომ ხუთიანზე შეასრულეს რუსეთის ყველა ამოცანა. ჩვენი ტერიტორიების 20% გადაუფორმეს რუსეთს, იმედი მაქვს დროებით. დიდის წვალებითა და მონდომებით საქართველოდან გაყვანილი რუსეთის სამხედრო ბაზები უკან შემოატრიალეს და 2008 წლის შემდეგ, რუსი სამხედროები აგერ, თბილისიდან 25 კილომეტრში დგნან. რაც კი სტრატეგიული ობიექტი იყო დარჩენილი, ყველაფერი რუსულ კომპანიებს მიყიდეს. „დესერტად“ 2008 წლის ნოემბერში(!), წინა ხელისუფლება რუსეთის მხარეს მოსკოვში საქართველოს კულტურის დეკადის ჩატარებას სთავაზობდა. ამდენი დამატებითი ლტოლვილი, გამწვავებული ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, რომელ წარმატებაზე საუბრობენ? რანაირად შეიძლება წარმატებაზე ისაუბრო იმ კატასტროფის შემდეგ, რაც მოხდა 2008 წელს? რუსეთთან ერთიერთობებში ერთი წარმატებული ნაბიჯი დაასახელონ გარდა იმისა, რომ იყო პატარა მუშტების ქნევა და ისტერიკა. უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს.

**– თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფართობი კიდევ გაიზარდა – რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ბაქო-სუფსის მილსადენის მონაკვეთიც მოექცა...**

– კი არ ფართოვდება, გაფართოვდა 2008 წელს. რაც ახლა ხდება, ეს არის შედეგი იმისა, რომ რუსეთმა აღიარა აფხაზეთის და ცხვინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ახლა რუსეთი თვლის, რომ უფლება აქვს ამ ორ ე.წ. დამოუკიდებელ ქვეყანას შეუქმნას სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და დაუკანონოს საზღვრები. აი, ეს არის ტრაგიკული შედეგი იმისა, რაც მოხდა 2008 წელს. ჩვენ რუსებს ის ტერიტორიებიც „გადავუფორმეთ“, რომლებსაც სრულად ვაკონტროლებდით. მხედველობაში მაქვს ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა.

**– კარასინის ფორმატში მოხდება ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟების საკითხზე მსჯელობა, მაგრამ ეს არ იქნება შედეგზე ორიენტირებული. გარდა აღშფოთებისა, რა გზა რჩება საქართველოს, რომ შეაჩეროს რუსეთის ეს ქმედება?**




– ჩვენ ხელთ გვაქვს საერთაშორისო ბერკეტები. მაქსიმალურად უნდა მოხდეს ამ მექანიზმების გამოყენება, რაც კეთდება ამ დღეებში, მაგრამ, ამავე დროს, მაქსიმალურად შევეცადოთ, რომ ვეძებოთ ამ ჩიხიდან გამოსავალი, რაც ძალიან რთული იქნება. რუსეთთან ურთერთობა ყველას უჭირს. ნახეთ, რა ხდება უკრაინაში, რუსეთსა და დასავლეთთან ურთიერთობებში, რა ხდება სხვა მეზობელ ქვეყნებში, მარტო ჩვენ არ ვართ ამ ვითარებაში. რუსეთი ძალიან რთული პარტნიორი, მაგრამ ძალიან ანგარიშგასაწევია. ამ სირთულეების გამარტივება არ შეიძლება.

**თამთა ქარჩავა**

# როგორი მოუწესრიგებელიცაა ახალმშენებლობები, ისეთივე მოუწესრიგებელია ჩვენი საზოგადოებაც!

## ურბანული დაგეგმარების პრობლემებზე გვესაუბრება ცნობილი არქიტექტორ-ურბანისტი, ბატონი თემურ ჯაფარიძე



**– თბილისში შენდება ნაგებობები, რომლებიც იერსახეს უცვლის ქალაქს. ხშირად ახალი მშენებლობები რაციონალურ საფუძველსაა მოკლებული და აშკარად აუარესებს ადამიანის საცხოვრებელ პირობებს, მთლიანად ქალაქის მდგომარეობას. ბატონო თემურ, რა მიგაჩნიათ პრობლემის სათავედ – სათანადო საკანონმდებლო ბაზის არქონა თუ არსებული კანონების უგულებელყოფა?**

– თქვენს შეფასებას ჩვენს ქალაქში მიმდინარე თუ უკვე განხორციელებული ახალი მშენებლობების შესახებ მთლიანად ვიზიარებ. არ არის საჭირო, იყო პროფესიონალი, რომ ჩამოგიყალიბდეს უარყოფითი დამოკიდებულება სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე „შექმნილი გარემოს მიმართ"; ანალოგიური მდგომარეობაა ვაკის ფერდობზე. ცაგარელისა და ონიაშვილის ქუჩის მდებარე ტერიტორიებზე... ცხადია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩვენ ნელ-ნელა საკუთარ ქალაქს ვსპობთ და მივუახლოვდით (შეიძლება, გადავაბიჯეთ კიდევაც) კრიტიკულ ზღვარს, რომლის მიღმაც აღარაფრის გამოსწორება არ იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი საზოგადოება არაორდინარულ პირობებში აღმოჩნდა, ვგულისხმობ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მკვეთრ ცვლილებას. მიწაზე კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ გამოიწვია ქალაქგანვითარების პროცესში ბევრი სუბიექტის გაჩენა. საზოგადოებაში დადგა ვითარების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა და ამის შესაძლებლობაც მოგვეცა, ქართულ-გერმანული პროექტის ფარგლებში ასეთი კანონმდებლობა დამუშავდა. მოგეხსენებათ, კანონშემოქმედება რთული და არაერთჯერადი პროცესია, ის საზოგადოების მახასიათებლებს უნდა ეფუძნებოდეს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, კანონმდებლობა დასახვეწია, თუმცა, მასში ჩადებულია თანამედროვე პირობებში ქალაქმშენებლობითი პროცესების მოსაწესრიგებლად აუცილებელი ყველა ბერკეტი. ამდენად, შექმნილი ვითარების გამომწვევი მიზეზები საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

**– დაცულია თუ არა კანონით ადამიანის უფლება, ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში? უზრუნველყოფილია თუ არა მისი უფლება, ჰქონდეს განათებული საცხოვრებელი სახლი, ნორმალურად გადაადგილდებოდეს, შენარჩუნებული ჰქონდეს სუფთა ჰაერი, დაცული იყოს ხმაურისაგან და სხვა?**

– ფაქტობრივად, ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაგეცით. საზოგადოება ერთმნიშვნელოვანი არ არის, და, აქედან გამომდინარე, არც ქალაქია ერთგვაროვანი. ადამიანი თვითონ ირჩევს საცხოვრებელ გარემოს და მისი ეს უფლება დაცული უნდა იყოს. რაც უფრო უკეთესია ეკოლოგიური გარემო, ნაკლებია ხმაური, ავტომობილების მოძრაობა, ხარისხობრივად მით უფრო მაღალია საცხოვრებელი გარემო. აქედან გამომდინარე, კანონი ითვალისწინებს ქალაქის დაყოფას ხარისხობრივად სხვადასხვა მაჩვენებლების მქონე ზონებად, და თავად მოქალაქე აირჩევს, თუ როგორ გარემოში უნდა მას ცხოვრება. იმ შემთხვევაში, თუ დადგა აუცილებლობა კონკრეტული გარემოს ხარისხობრივად სხვა მაჩვენებლების მქონე გარემოდ გარდაქმნის, ამას უნდა იზიარებდნენ ლოკალურ მონაკვეთში მცხოვრები მოქალაქეები და გარემოს შეცვლა დადგენილი წესით უნდა მოხდეს, გადაგეგმარდეს ახალი გარემოების შესაბამისად ისე, როგორც კანონი ითვალისწინებს.

**– ბატონო თემურ, ხომ არ არსებობს მენტალური პრობლემა? ხელისუფალნი ყოველთვის არ ითვალისწინებენ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცენტრალური ფიგურა ადამიანია თავისი უფლებებითა და ინტერესებით და იქნებ, თავად ადამიანებსაც ავიწყდებათ ეს. ამიტომაც არ ცდილობენ საკუთარი საცხოვრებელი პირობების დაცვას?**

– მენტალური პრობლემა ნამდვილად არსებობს, ქალაქი საზოგადოების ანარეკლია, როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა ქალაქიც; როგორი მოუწესრიგებელიცაა ახალმშენებლობები, ისეთივე მოუწესრიგებელია ჩვენი საზოგადოებაც! ერთმა ბრიტანელმა სტუმარმა ვიწრო წრეში, პირდაპირ აღნიშნა, თქვენ თქვენი ქვეყანა არ გიყვართო. მან ეს შთაბეჭდილება ქალაქის დათვალიერების შემდეგ მიიღო, ქალაქის, რომელსაც საზოგადო და მწვანე სივრცეები (რაც ყველასია – ქვეყნის) აღარ გააჩნია. აბსოლუტურად მართებულად დასვით შეკითხვა, ხელისუფლება სცოდავს, და იმიტომაც, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებასთან ურთიერთობით ცდილობენ, მოიპოვონ უპირატესობა. ბრიტანელებთან დაკავშირებით გამახსენდა: მათ გამოიკვლიეს, თუ რით განსხვავდება ადამიანი პრიმატისგან და დაადგინეს, რომ ეს დაგეგმვის უნარია. პრიმატს ეს უნარი საერთოდ არ აქვს. დაგეგმვა და დაგეგმარება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივ დაკვეთას წარმოადგენს, ეს დაკვეთა გულისხმობს საზოგადოებრივი აუცილებლობებისთვის მთელი რესურსების (მათ შორის, ტერიტორიული) გეგმაზომიერ გადანაწილებასა და გამოყენებას. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და ამიტომ ასეთი დაკვეთის მოთხოვნა მას გააჩნია ან უნდა გააჩნდეს.

**– საზოგადოებაც სცოდავს, როცა სათანადო პატივისცემით არ ექცევა კულტურულ მემკვიდრეობას. რა თქმა უნდა, აჯობებს, ხშირად მოეწყოს საგანმანათლებლო გადაცემები ჩვენი ცნობილი არქიტექტორების მონაწილეობით, რათა უკეთ გავიგოთ რა განძის მფლობელია, რაში მდგომარეობს თბილისის არქიტექტურული თვითმყოფადობა და რა ფორმით უნდა მოხდეს ამ თვითმყოფადობის შენარჩუნება?**

– სწორი ბრძანდებით, მდგომარეობის გამოსასწორებლად საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაა საჭირო, უპირველესად, პროფესიონალების. თუმცა, მინდა, აღვნიშნო, რომ ქალაქგანვითარების პროცესში მთელი საზოგადოებრივი სპექტრი მონაწილეობს. თუ სივრცული ჩამოყალიბების ამოცანებზეა საუბარი, აქ ძირითადი როლი ქალაქმგეგმარებლებს, გარემოს დამცველებს, ხელოვნებათმცოდნეებს, საინჟინრო დარგის წარმომადგენლებს ენიჭებათ. იმის მიუხედავად, რომ ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან, მათი ფუნქციები გამიჯნულია. ქალაქდაგეგმარებასა და არქიტექტურას შორისაც გადის ზღვარი, ეს ზღვარი უმეტეს შემთხვევაში ძალიან მკვეთრია, რიგ შემთხვევებში – უხილავი. ქალაქგეგმარების საბოლოო პროდუქტი კანონია – ტერიტორიის განვითარების თაობაზე, რომელიც სავალდებულოა დასაცავად როგორც არქიტექტორებისათვის, ასევე ქალაქგანვითარებაში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის. ამდენად, თუ საუბარია პროფესიონალების გააქტიურებაზე და მათ ჩართულობაზე საზოგადოებრივ პროცესებში, უპირველესად, ეს ქალაქმგეგმარებლებს ეხება და იმ მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენლებს, რომლებზედაც მოგახსენეთ.

> **საზოგადოება ერთმნიშვნელოვანი არ არის, და, აქედან გამომდინარე, არც ქალაქია ერთგვაროვანი. ადამიანი თვითონ ირჩევს საცხოვრებელ გარემოს და მისი ეს უფლება დაცული უნდა იყოს. რაც უფრო უკეთესია ეკოლოგიური გარემო, ნაკლებია ხმაური, ავტომობილების მოძრაობა, ხარისხობრივად მით უფრო მაღალია საცხოვრებელი გარემო.**

**– ბოლომდე ვიყენებთ თუ არა ჩვენი სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას, საქართველოში მოღვაწე პროფესიონალების პოტენციალს?**

– მინდა, გითხრათ, რომ ქალაქმგეგმარებლების პროფესიული რესურსი ჩვენს საზოგადოებაში ძალიან მწირია. ამის მიუხედავად, ხელისუფლება ამ რესურსს არ იყენებს, პირიქით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა კლებულობს და, სამწუხაროდ, ამის კონკრეტული მაგალითები დღესაც არსებობს. დღევანდელ კატასტროფულ (არ ვაჭარბებ) მდგომარეობაში პროფესიული აზრის მობილიზება და მისი ინსტიტუციაში აკუმულირება აუცილებელია.

**– ჩვენი გაზეთი აწარმოებს ჟურნალისტურ გამოძიებას თბილისში ტაბიძის 124-ში, ვაკის პარკის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე წარმოებული მშენებლობის თაობაზე. ბატონო თემურ, ვიცით, რომ ამ საქმეზე სასამართლოში ექსპერტის სახით დაიკითხეთ...**

– ჩემი დამოკიდებულება ამ შემთხვევის მიმართ საექსპერტო დასკვნაში აღვწერე, თუ რით არის განსხვავებული ეს შემთხვევა სხვა შემთხვევებისაგან, მოგახსენებთ: სიტუაციის სიმწვავე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქმე გვაქვს დაბალი სიმჭიდროვის ინდივიდუალურ საცხოვრებელ განაშენიანებასთან, რომელიც უშუალოდ სარეკრეაციო სივრცის, ვაკის პარკის მიჯნაზეა განთავსებული, ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს, თბილისის პირობებში უმაღლესი ხარისხის საცხოვრებელ გარემოსთან. ამავე დროს, ამ გარემოში ჩნდება მრავალბინიანი, თვისობრივად სხვა, ბევრად უფრო დაბალი მახასიათებლებისა და ხარისხის მქონე საცხოვრებელი გარემოს კუთვნილი შენობა, რომლის განხორციელებაც, ბუნებრივია, სათანადო უარყოფით უკუზემოქმედებას მოახდენს ჩამოყალიბებულ გარემოსა და მის მაცხოვრებლებზე. ამავე დროს ჩნდება პრეცედენტი, რომელიც შესაძლოა, განმეორებადი გახდეს, რამაც, ბუნებრივია, მაცხოვრებელთა პროტესტი გამოიწვია.

**– ჩვენი ინფორმაციით, მშენებლობა კუს ტბის ბაგირგზის მოძრაობასაც კი შეუძლებელს ხდის. ევალებოდა თუ არა თბილისის მერიას და თბილისის არქიტექტურის სამსახურს, შეესწავლა აღნიშნული საკითხი?**

– რა თქმა უნდა, უნდა შეესწავლა თუ რამდენად შეუშლიდა ხელს განხორციელებული მშენებლობა ბაგირგზის ფუნქციონირებას. ეს თბილისის მერიისა და არქიტექტურის სამსახურის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

**– რას ნიშნავს ცნება – განაშენიანების კოეფიციენტი? რა მიზნითაა ის დადგენილი და რამდენად იცავენ მათ?**

– მოგახსენებთ, რომ კანონმდებლობა გულისხმობს ქალაქის დაყოფას სხვადასხვა ფუნქციურ ზონებად, მათ შორისაა რამდენიმე საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. სხვა განმასხვავებელ ნიშნებს შორისაა განაშენიანებისა და ინტენსივობის კოეფიციენტები. რაც უფრო მაღალია კოეფიციენტის მაჩვენებელი, უფრო დაბალი ხარისხის საცხოვრებელ გარემოსთან გვაქვს საქმე. ამდენად, მოქალაქე ირჩევს იმ ხარისხის გარემოს საცხოვრებლად, რომელიც მისთვის მისაღებია და კოეფიციენტი სწორედ ამ მიმართულებით მისი უფლებების დაცვის საშუალებაა.

**– რა მდგომარეობაა ამ მხრივ საზღვარგარეთ? იქნება თუ არა სასიკეთო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება?**

– ქვეყნის განვითარების დონე დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რამდენად იცავენ კანონს მოქალაქეები და მთელი საზოგადოება. კანონის დაცვაში გამოიხატება პატივისცემა თანამოქალაქისა და აქედან გამომდინარე, საზოგადოების მიმართ, და ამას განაპირობებს ქვეყნის გათვითცნობიერებული სიყვარული. ერთმნიშვნელოვანი გარემოება ამ მიმართულებით არც განვითარებულ საზოგადოებებშია, თუმცა, არსებობს გარემოებანი, რომლებიც ერთმნიშვნელოვანია, სწორედ ასეთ გარემოებებზე გვქონდა საუბარი. შეიძლება, ზოგიერთი რამ განვითარებული სამყაროსი, ჩემთვისაც მიუღებელი იყოს, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც არათუ გასაზიარებელი გვაქვს, არამედ სასწავლი და გადმოსაღები. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოების ინსტიტუციური სრულყოფაა. ჩვენს შემთხვევაში, დაგეგმარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების ინსტიტუციური სრულყოფა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

**– ბატონო თემურ, სად გადის ის ზღვარი, როცა ინვესტორისა თუ მშენებლის კომერციულ ინტერესსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის წარმოშობილი კონფლიქტი, უპირობოდ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს?**

– ერთ-ერთ შეხვედრაზე უცხოელ პარტნიორებთან და კოლეგებთან (მუნიციპალიტეტების თანამშრომლებთან), მოვინდომეთ რა დაგვესაბუთებინა ჩვენი ცოდნა საბაზრო ურთიერთობებთან დაკავშირებით, დავიწყეთ მსჯელობა დაგეგმარებისა და მშენებლობის რენტაბელობის ურთიერთკავშირზე, მათი რეაქცია კატეგორიულად ერთმნიშვნელოვანი იყო, რაც გულისხმობდა ამ ორი ცნების გამიჯვნის აუცილებლობას, ანუ დაგეგმარება საზოგადოებრივი ამოცანაა და მისი მინდობა საბაზრო ძალების მოთხოვნაზე, რომელიც მაქსიმალურ მოგებაზეა ორიენტირებული, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შედეგის მომტანია. ჩვენ პირობებში იმდენად არის ქალაქგანვითარება (თუ შეიძლება ამ მოვლენას ეს ტერმინი უწოდო) დამოკიდებული ბიზნესის მოთხოვნებზე, რომ დაგეგმვა და დაგეგმარება მთლიანად უარყოფილია. ამავე დროს, ასეთი დამოკიდებულება არამარტო საცხოვრებელი გარემოს ხელყოფას ემსახურება, არამედ ქალაქის საინვესტიციო პოტენციალს უდიდეს ზიანს აყენებს, სერიოზულ ინვესტიციებს იზიდავს გეგმაზომიერად მოქმედი საზოგადოება და გეგმაზომიერად განვითარებული ქალაქი, სადაც ყველა საზოგადოებრივი ინტერესია გათვალისწინებული.

**– რა უნდა მოვუხერხოთ უკვე აშენებულ ნაგებობებს, ან იმ საზოგადოებრივი ინტერესების ხელმყოფ მშენებლობებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს?**

– მეტად რთული ამოცანაა, რომელიც სისტემური მიდგომითა და უბნების მიხედვით სრულფასოვანი ქალაქგეგმარებითი საკვლევ-საძიებო სამუშაოების ჩატარების გარეშე ვერ გადაწყდება. მხოლოდ ასეთი სამუშაოების შედეგადაა შესაძლებელი რაიმე პროგნოზების გაკეთება. ეს პროგნოზი ასევე კავშირშია არსებული ტერიტორიული რეზერვების გამოვლენასთან, რომლებიც არა კერძო, არამედ საზოგადო ინტერესების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. დასაწყებია ქმედებანი მერიაში ინსტიტუციური სრულყოფის მიმართულებით. რაც ყველაზე უფრო მთავარია, უნდა შეწყდეს კანონდარღვევით, კოეფიციენტებით მანიპულირების (მომატების) მავნე პრაქტიკა, რომელიც, სამწუხაროდ, ისევ გრძელდება და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც კრიტიკულ სიტუაციას.

**– გმადლობთ, საინტერესო ინტერვიუსთვის!**

ესაუბრა
**თეა მოსია**



# „ნიკალა“, რომელიც თითქოსდა იმ „უბედური“ შემთხვევის მიზეზი გახდა, იმ დღეს საერთოდ არ ჩართულა“

*„ზურას არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა ასეთ სიკვდილს არ ისურვებდა. 5 წუთის საშუალება რომ ჰქონოდა, სურათს აუცილებლად შეცვლიდა. სურათი იყო ასეთი - უსუპოვი და ჟვანია ბინაში შიშვლები იყვნენ, ჩავაცვით, გავწმინდეთ, მოვიქეცით ისე, როგორც ნებისმიერი ადამიანი მოიქცეოდა. შემდეგ უსუპოვი მანქანაში ჩავსვით, თუმცა შემდეგ მივხვდით რომ აბსურდული იქნებოდა ზურა უცხო სახლში ასეთ მდგომარეობაში რომ ენახათ და უსუპოვი კვლავ შევიყვანეთ ბინაში. ჩემი მიზანი არ იყო საჯაროდ მეთქვა ეს ყველაფერი, მაპატიოს ზურას სულმა“, — ამ სიტყვების ავტორი ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძეა, რომელსაც სახელმწიფო ბრალდება სამსახურებრივ გულგრილობას ედავება.*

*ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმა გოგლა ჟვანია აცხადებს, რომ ხარშილაძე ექსპრეზიდენტის ენით საუბრობს. ის დარწმუნებულია, რომ სიმართლე დადგინდება და ყველა ის ადამიანი, რომელიც ყოფილი პრემიერის მკვლელობაში და შემდეგ უკვე მტკიცებულებების გაყალბებაში მონაწილეობდა, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება. for.ge-სთან საუბრისას გოგლა ჟვანიამ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე ისაუბრა. კერძოდ, გამათბობელი „ნიკალა“ რომელიც გამოძიების მტკიცებით ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზი გახდა, იმ დღეს საერთოდ არ ჩართულა. გარდა ამისა, საბედისწერო ბინაში არსებულ საწოლზე აღმოჩენილია რამდენიმე ადამიანის დნმ-ის კვალი, მაგრამ ის ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუფოვს არ ეკუთვნით.*

*რატომ ჰქონდა ზურაბ ჟვანიას თავზე ღრმა ჭრილობა, რატომ მიიტანეს ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე, რა მტკიცებულებები მოიპოვა გამოძიებამ და რა დასკვნა დადეს უცხოელმა ექსპერტებმა? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge* **გოგლა ჟვანიას** *ესაუბრა.*

**„გარდაცვლილ ადამიანს, რომელიც პასუხს ვერ გაგცემს, შეიძლება მიაწერო ნებისმიერი რამ, მითუმეტეს როდესაც მომხდარი ამბის სხვა გარეშე მოწმეები არ არსებობენ“, — ასეთი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში კობა ხარშილაძის ჩვენებას, რომლის მიხედვით იმ ბინაში, სადაც ჟვანია გარდაცვლილი აღმოაჩინეს, იგი რაულ უსუპოვთან ერთად შიშველი იმყოფებოდა. რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ხარშილაძის ჩვენება?**

— ჩვენი საზოგადოება ძალიან ადეკვატურად და სწორად აფასებს მოვლენებს. სააკაშვილი და მისი კრიმინალური დაჯგუფება ვერ ახერხებს საზოგადოებას თავს მოახვიონ მათი სურვილი — ყველაფერი ნათელია. შემიძლია, გითხრათ, რომ ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება და ყველა, ვინც ზურას მკვლელობაში და საქმის გაყალბებაში მონაწილეობდა, დაისჯება. ამას ვსაუბრობ იმ მტკიცებულებიდან გამომდინარე, რომელიც საქმეში არსებობს.

ცალსახად შემიძლია, გითხრათ და ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — „ნიკალა“, რომელიც თითქოსდა იმ „უბედური შემთხვევის“ მიზეზი გახდა, იმ დღეს საერთოდ არ ჩართულა. როგორ შეიძლებოდა ადამიანები გაგუდულიყვნენ ოთახში, თუ გაგუდვის მიზეზი „ნიკალა“ საერთოდ არ ჩართულა? — ეს ხომ აბსურდია.

**— რა მტკიცებულების საფუძველზე აცხადებთ, რომ გამათბობელი საერთოდ არ ჩართულა?**

— ამას მოწმობს ის მტკიცებულებები, რომელიც საქმეშია და ასევე, ექსპერტიზის დასკვნები და არა მარტო ქართველი ექსპერტების. რაც შეეხება ხარშილაძეს და ძაძამიას, მათ ერთადერთი რამ მინდა ვურჩიო, თავი დაანებონ სისულელეების ლაპარაკს და ითანამშრომლონ გამოძიებასთან, რადგან ამ სისულელეების ლაპარაკით თავის მდგომარეობას იმძიმებენ. გაცილებით მძიმე დანაშაულს აღიარებენ საკუთარი პირით, ვიდრე აქვთ წაყენებული.

**— მივყვეთ ხარშილაძის ჩვენების სიზუსტეს, ის ამბობს, რომ იმ ბინაში შესვლა ვერ მოახერხა და ამიტომ გისოსებიდან შევიდა ოთახში. თუმცა, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას მან ვერ შეძლო გისოსებიდან შესვლა. როგორ ფიქრობთ, რატომ ამტკიცებს ხარშილაძე, რომ ის გისოსებიდან შევიდა?**

— ხარშილაძე იტყუება. ზურაბ ადეიშვილის გენერალური პროკურორობის დროს მოვითხოვე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, რადგან გამოძიების მასალებში ძალიან მკაფიოდ იყო მითითებული თუ როგორ შეძვრნენ გისოსებიდან ოთახში. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მათ ვერ შეძლეს იმ გისოსებიდან ოთხაში შესვლა. ბუნებრივია, რომ იმ ოთახში ფანჯრიდან არავინ შესულა და ვერც შეძლებდნენ. მათ ჰქონდათ გასაღები, რომლის საშუალებით შევიდნენ ოთახში და აკეთებდნენ იმას, რა დავალებაც ჰქონდათ.

**— ხარშილაძე ჩვენების ნაწილში ამბობს, რომ უსუპოვის ცხედარი ჯერ გაიტანეს, ხოლო შემდეგ კვლავ დააბრუნეს ბინაში. თავისთავად ჩნდება კითხვა — სად დაიკარგა რაულ უსუპოვის ფეხსაცემლი?**

— ძალიან ბევრი ისეთი დეტალია, რომელზეც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ვერ ვისაუბრებ. უსუპოვის ფეხსაცმელი დაკარგულია. მეტიც, მას ტანზე აქვს ნაჩხვლეტები. ზურას ტუჩზე აქვს დაზიანებები, თავიდან ვიცოდით, რომ თითქოს ეს დაზიანებები ხელოვნური სუნთქვის შედეგად იყო მიღებული, მაგრამ საქმეში არსებული ვიდეომასალით დადასტურდა, რომ ზურას თავში აქვს ძალიან ღრმა დაზიანება, რომელიც ტვინამდე ჩადის.

**— რის შედეგად აქვს მიღებული დაზიანება?**

— საკმაოდ ძლიერი დარტყმა აქვს მიყენებული თავის ზედა არეში, ძალიან ღრმა დაზიანებაა. ამ დაზიანების შესახებ არსებობს ექსპერტის დასკვნაც. ნაწილი ამ მასალებისა, სადაც დაზიანებები ჩანს, ე.წ. „ჰაკიმ ფაშას“ სახელით გავრცელდა.

**— როგორ მოხდა ეს ჩანაწერი ინტერნეტში, თქვენ რა ვერსია გაქვთ?**

— არ ვიცი, ეს ცალკე საკითხია. ძალიან ბევრი დეტალია, რომელსაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, მაგრამ მთავარი, რითიც დავიწყე, ეს არის გამათბობელი, რომელიც საერთოდ არ ჩართულა და ამას ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა. როდესაც განახლდა საქმის გამოძიება, ძალიან სწრაფად ამოტივტივდა ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები, რაც მაძლევდა იმედს, რომ პროცესი მალე დასრულდებოდა, მაგრამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, პროცესის გაჯანჯლება მოხდა. მთლიანობაში გამოძიება სწორად მიდის, რომელიც აუცილებლად შედეგიანად დასრულდება.

მათ ვერსიას, რომ გავყვეთ, რა სურათიც არ უნდა დახვედროდა ხარშილაძეს, ერთადერთი და პირველი, რაც უნდა გაეკეთებინა, უნდა გამოეძახა სასაწრაფო დახმარება. შეიძლება, ეს ადამიანები ცოცხლებიც ყოფილიყვნენ და გადარჩენაც შესაძლებელი ყოფილიყო. მან კი, არათუ სასწრაფო არ გამოიძახა, ადგილზე მისული ზურას პირადი ექიმი ბინაში არ შეუშვა და ზურას ცხედარს არ მიაკარეს.

**— რატომ არ შეუშვეს ექიმი?**

— რამდენიმე საათის განმავლობაში მიდიოდა მანიპულაციები და ამ ყველაფრის ინსცენირება. ზედმეტი ხალხის დასწრება და ზედმეტი თვალისთვის რაღაცების დანახვა არ უნდოდათ. ეგონათ, რომ შეცდომის გარეშე შეძლებდნენ ყველაფრის ინსცენირებას. უამრავი შეცდომა აქვთ დაშვებული იმ სცენარის დადგმის პროცესში. უკვე თვითონვე აღიარებენ ერთი ცხედრის გადაადგილებას, ამ შემთხვევაში — უსუპოვის. ამბობენ, რომ გატანილი იქნა, თუმცა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია გატანილია თუ შემოტანილი. ძალიან სერიოზული ეჭვი არსებობს იმისა, რომ ცხედრები იმ ბინაში მიიტანეს.

**— რამდენადაც ვიცი დაკითხულია მოწმე, რომელმაც ნახა ცხედრების შეტანის პროცესი...**

— გიდასტურებთ, რომ ეს ქალბატონი დაკითხულია. როგორც გითხარით, დაკარგულია რაულის ფეხსაცმელი და მათ ვერსიას რომ გავყვეთ, შეუძლებელია გადაადგილების პროცესში დაკარგულიყო. აქ საუბარია გადაადგილებაზე 5 მეტრის მანძილზე. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს ვთქვა, რომ სხვაგან მოხდა ეს ამბავი და მერე მოხდა იმ ბინაში ცხედრების შეტანა. გარდა ამისა, ძალიან დასვრილია რაულის ტანსაცმელი. როგორც კი ეს შემთხვევა მოხდა, იმ დღესვე საიდუმლოდ დაიწყეს იმ ჭორების გავრცელება, რაზეც ახლა საუბრობს ხარშილაძე. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებული. ესენი არიან ნაციონალური მოძრაობის აქტიური სახეები და მათი ოჯახის წევრები.

**— ამ დრომდე გაურკვეველია ექსჰუმაციის საკითხი. სავარაუდოდ, როდის ჩატარდება გვამის ექსჰუმაცია?**

— ექსჰუმაციის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. დაველოდოთ გამოძიებას, შეიძლება გახდეს საჭირო, შეიძლება არა. თუ საჭირო გახდება გვამის ექსჰუმაცია ჩვენ თანახმა ვართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის რაზეც ხარშილაძე საუბრობდა, ეს საქმის მასალებით არ დასტურდება. რაც შეეხება იმ ბინას, იქ იყო საწოლიც და თეთრეულიც. მეტიც, ვილაცები ნაწოლიც არიან და ნაჩხუბრებიც, ამის შესაბამისი კვალი არსებობს.

**— მაგრამ არა ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი?**

— ბუნებრივია, — არა. ძალიან დაბინძურებული ბინა იყო. შემიძლია, გითხრათ, რომ ძალიან ბევრი ადამიანის დნმ-ია აღმოჩენილი, მაგრამ არც ერთი არ ეკუთვნის ზურას და რაულს.

**— ამერიკელი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ FBI-ის თბილისის ბიუროში განადგურდა ყველა მტკიცებულება, რომელიც ზურაბ ჟვანიას საქმესთან იყო დაკავშირებული. თქვენ თუ გაქვთ ეს ინფორმაცია?**

— ყველა მტკიცებულება რომ გაენადგურებინათ, ჩვენ დღეს ვერ ვისაუბრებდით დეტალებზე. ბევრი რამ ვერ გათვალეს, ბევრი შეცდომა დაუშვეს. საკმაოდ რთული საქმე იყო თვითონ შემსრულებლისთვისაც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რაც თავად ედოთ საქმის მასალებში და ნანახიც აქვთ, ეს არის შსს-ს ვიდეოფირი, რომელშიც ძალიან აშკარად ჩანს ის დაზიანებები, რომელიც მიყენებული აქვს ორივეს. როგორც ჩანს, ამ ფირს სერიოზულად არ მოეკიდნენ. ამ ფირს სჭირდებოდა სპეციალური აპარატურით შემოწმება, რომ დადგენილიყო, ჰქონდათ თუ არა ცხედრებს დაზიანება, რაც მოხდა კიდევაც. ასე რომ, მტკიცებულებები საკმაოდ ბევრია. ვპირდები სააკაშვილს და მის კრიმინალურ ბანდას, რომ აუცილებლად აგებენ პასუხს ამ დანაშაულზე.

**— ბრალდებულების მოთხოვნით საქმეში ნაფიცი მსაჯულები ჩაერთვნენ, რა მოლოდინი გაქვთ, როგორი იქნება მათი ვერდიქტი?**

— ამ ადამიანებს სერიოზული გადაწყვეტილება აქვთ მისაღები და დაველოდებით მათ ვერდიქტს.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## ნინო-ქადაგიძე-ჟვანია: ხარშილაძე და ძაძამია იტყუებიან

**ამის შესახებ ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების პირობებში მიმდინარე საქმეზე დაკითხვისას განაცხადა. მან გაიხსენა გარდაცვალების დღე. ნინო ქადაგიძის თქმით, 2 თებერვლის ღამის 3-დან 4 საათამდე რეკავდა და ძაძამია ეუბნებოდა, რომ 5-10 წუთში დაალაპარაკებდა მეუღლეს. შემდეგ როგორც ქალბატონი ნინო ამბობს, იგი ფეხით წამოვიდა წყნეთიდან და შუა გზაში დაეწია მანქანა. ცოტა ხანში კი დაურეკეს და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ აცნობეს.**



**მისივე თქმით, როდესაც მივიდა გარდაცვალების ადგილას, კობა ხარშილაძე მას შესვლის უფლებას არ აძლევდა. სახლთან კი ბევრი პოლიციელი და დაცვის თანამშრომელი იყო. მოგვიანებით კი, როგორც ქადაგიძე აღნიშნავს, მან მოახერხა ბინაში შესვლა და ნახა რაულ უსუპოვი და ზურაბ ჟვანია, რომლებსაც თეთრი პერანგები ეცვათ.**

**„რატომ მგონია რომ ესენი იტყუებიან. ღამის 3 საათზე კორპუსში გაზი გადაკეტილი იყო. რაღაცას ბოდავენ. ესენი ამბობენ, რომ ძაძამიამ დაურეკა ხარშილაძეს. შემდეგ ხარშილაძემ ფანჯარა გატეხა და გაზი გამოვარდა ფანჯრიდან, რომელსაც ვერ იგრძნობდა ხარშილაძე იქიდან გამომდინარე, რომ გაზს სუნი არ აქვს. ასევე ხარშილაძე ამბობს, რომ გაზის შიშინი ესმოდა და გამათბობელი გამორთო. ექსპერტიზის შედეგად კი გაირკვა, რომ გამათბობელი ჩართული არ ყოფილა, რადგან ნამწვავი არ ქონია. ასევე საეჭვოა ის გარემოება, რომ მეზობლები არაფერს ამბობენ, რადგან გაფრთხილებული იყვნენ, რომ ხმა არ ამოეღოთ და მათ ეშინოდათ. ასევე კიდევ ერთი გარემოება, მწეველი ზურა, რომელიც 2 კოლოფს ეწეოდა დღეში, დახურულ ფანჯარაში ვერ გაძლებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ არც ერთი ფანჯარა საკეტით არ იკეტებოდა“, — განაცხადა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ.**

**მისი თქმით, ასევე საეჭვოა ის გარემოება, რომ მას ნანახი ჰქონდა, რომ ზურაბ ჟვანიას ტუჩის არეში ნაჭდევი აღენიშნებოდა და შიგნიდან კი სისხლნაჟღენთი ეტყობოდა. „ამ ფოტოს ნახვის შემდეგ მივედი ადეიშვილთან და ვუთხარი, რომ ტუჩზე აღენიშნებოდა ნაჭდევი და ტუჩის შიგნიდან ჰქონდა ჩაქცევა. მან მთხოვა ფოტო მეჩვენებინა. როდესაც მოვიძიე ფოტო, აღმოჩნდა, რომ იგი გააქრეს“, — განაცხადა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ.**

**მისივე თქმით, კიდევ ერთი საეჭვო გარემოება ის არის, რომ ზურაბ ჟვანიას, რომელიც დიეტაზე იყო, კუჭში აღმოუჩინეს მოხარშული ძეხვი. ქადაგიძე ამბობს, რომ ღამის 3 საათზე ჟვანია ძეხვს არ შეჭამდა. ასევე, მისი თქმით, გარდაცვალების დღეს უნდოდა გასაუბრებოდა პირს, რომელმაც ჟვანიას ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარა, თუმცა, მასთან დალაპარაკება ვერ შეძლო, რადგან ექსპერტმა ეს არ ისურვა. როგორც ნინო ქადაგიძე-ჟვანია აცხადებს, ზურაბ ჟვანიას თან დაჰქონდა სეიფის გასაღები. გარდაცვალების შემდეგ კი მას აქვს ინფორმაცია, რომ გასაღებით ისარგებლა კობა ხარშილაძემ.**

**„სეიფი იყო როგორც კანცელარიაში, ასევე ოფისში. ოფისის წარმომადგენლისგან კი მაქვს ინფორმაცია, რომ იქ იყო მისული ხარშილაძე და რაღაცები წაიღო. სეიფში ინახებოდა საჩუქრები, ოფიციალური დოკუმენტები, საათი და ჩვენი პირადი ნივთები“, — განაცხადა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ.**

## ასე ვერ გავფრინდებით!!!

# ვიღაცამ ხე-ტყე ჩინეთში უნდა წაიღოს და ჩვენ პარკეტი იქიდან უნდა შემოვიტანოთ?!



## პრემიერმა ხოკრიშვილს ორჯერ დაურეკა... რომელ ეკონომიკაზე საუბრობენ, როცა საათივით აწყობილი ქარხანა გაჩერებულია?!

**ფრაქცია „მრეწველების" თავმჯდომარე გოგი თოფაძე აცხადებს, რომ სოფელ ფშავში, მისი და მისი პარტნიორები ხე-ტყის ქარხანა, შვიდი წელია გაჩერებულია. დეპუტატის ცნობით, ქარხანას მასალა იტალიასა და იაპონიაში გაჰქონდა, ათ პროცენტს საქართველოში ტოვებდა და 125 ადამიანი ჰყავდა დასაქმებული. კანონმდებელი გარემოს დაცვის სამინისტროს მოუწოდებს, ქარხანას მუშაობის უფლება მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თოფაძე აქციებს აანონსებს.**

**„ვიღაცამ ხე-ტყე ჩინეთში უნდა წაიღოს და საქართველოში პარკეტი ჩინეთიდან უნდა შემოვიტანოთ? ესაა ეკონომიკა", — დასძენს პარლამენტის წევრი.**

**თუ რა ვითარებაა საქართველოში ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით, ამის გარკვევას გოგი თოფაძესთან შევეცადეთ.**

**— გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე ისაუბრეთ, რომ ხე-ტყის წარმოებაზე პრობლემები იქმნება. რას გულისხმობდით, უფრო ვრცლად, რომ გვითხრათ?**

— 2003-2004 წელს, ხე-ტყის ინსტიტუტთან ქარხნის მშენებლობა შევათანხმეთ და იმას მივაღწიეთ, რომ საქართველოდან მორები არ გასულიყო, რადგან დამუშავებული მორი ფიცრად რომ აქციო, შვიდჯერ მეტ მოგებას ტოვებს და თუ მას პარკეტად აქცევ, კიდევ უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს. სოფელ ფშავში მე და ჩემმა პარტიორებმა ძალიან თანამედროვე ქარხანა ავაშენეთ, რომლის მშენებლობაც დაახლოებით 3 მილიონი ევრო დაგვიჯდა. მსგავსი ქარხანა საქართველოში არ არის, იქ როგორც ავეჯის ნაწილები, ასევე ფიცარი და პარკეტი კეთდება. ქარხანამ მუშაობა 2006 წელს დაიწყო და დაახლოებით ცხრა თვე იმუშავა. მაშინ, კანონით, ყოველ წელს, ტყეკაფს ვყიდულობდით და წელიწადში 10-15 ათასი კუბმეტრი გვჭირდებოდა, რომელსაც ვამუშავებდით. ეს მასალა ექსპორტზე გადიოდა როგორც იტალიაში, ასევე იაპონიაში. ათი პროცენტი კი, საქართველოში რჩებოდა. ცხრა თვის მანძილზე, ჩვენმა ქარხანამ სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონ ლარზე მეტი შეიტანა.

**— ცხრა თვის შემდეგ, ქარხანამ მუშაობა რატომ შეწყვიტა?**

— 2006-2007 წლებში, ხე-ტყის ბიზნესი საკმაოდ შემოსავლიანი იყო და არავის აწყობდა, რომ ეს ბიზნესი დამოუკიდებელი ყოფილიყო. ცხრა თვის შემდეგ, კანონი შეცვალეს და ის ტყეკაფი, რომელიც ჩვენთვის იყო გამოყოფილი, ჩინელებს 20 წლით ისე მიჰყიდეს, რომ ტენდერში მონაწილეობაც კი ვერ მივიღეთ. წელიწადი ისე დამთავრდა, რომ მოლოდინის რეჟიმში ვიყავით, ტყე კი, ჩინელების გახდა და ქარხანა გაჩერდა, სადაც 125 ადამიანი მუშაობდა. დრო გავიდა და ვიფიქრეთ, რომ რაღაც სხვა ტყე მოინახებოდა, მაგრამ მაშინ, პირდაპირი ზეწოლა იყო, რომ ჩვენ არ გვემუშავა, რადგან მათ გეგმებში რაღაც დისონანსი შეგვქონდა.

**— ანუ თქვენ ვარაუდობთ, რომ თქვენმა ბიზნესმა ვიღაცის ბიზნესი გადაკვეთა და პრობლემებიც ამიტომ შეიქმნა?**

— რა თქმა უნდა, გადაველობეთ.

**— ვის ბიზნესინტერესებს გადაეღობეთ?**

— ვისი იყო, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ვერ ვასახელებ, რადგან მომთხოვენ, რომ დაამტკიცეო — იმ ხელისუფლების იყო. ერთი წელი ველოდებოდით, რომ რაღაცას გამოგვიყოფდნენ, მაგრამ არაფერი გამოყვეს და ჩინელებს ქარხანა მივაქირევეთ, რადგან ხალხი უმუშევარი რჩებოდა. ჩინელებმა ერთი წელი იმუშავეს და შემდეგ საკუთარი ქარხანა ააშენეს.

**— ქუთაისში არსებულ ჩინურ ინდუსტრიულ ზონაში ხე-ტყე კახეთიდან მოაქვთ?**

— დიახ. ქუთაისიდან ხე-ტყე კი, ფოთის პორტის გავლით ჩინეთში მიაქვთ. ჩვენი ქარხანა კი, მეშვიდე წელია გაჩერებულია. ამ საკითხის თაობაზე ხათუნა გოგალაძეს ვეჩხუბე, შემდეგ, ხოკრიშვილს პრემიერ-მინისტრმა ორჯერ დაურეკა. რომელ ეკონომიკაზე საუბრობენ, როცა საღსალამათი ქარხანა გაჩერებულია?!

**— პრემიერ-მინისტრმა ხოკრიშვილს რომ დაურეკა, რა უთხრა და რა პასუხი მიიღო?**

— პრემიერს ვუთხარი, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოდიოდა და მინისტრს დაურეკა, მან კი უპასუხა, რომ რეფორმას ვაკეთებთო. რა რეფორმას აკეთებენ, სამი წელია ველოდები. ამ ქარხანაში სამი სოფლის მოსახლეობა იყო დასაქმებული და დაახლოებით 200 ადამიანი გარემოს დაცვის სამინისტროს წინ მისვლას აპირებს. მათ რით გააჩერებენ? ჩინელების ქარხანა პირდაპირ ტყეში დგას, იქედან ხე-ტყე გადის და ეს ადამიანები ამას უყურებენ. გარემოს დაცვის სამინისტროში ხე-ტყეს ვინც კურირებდა, მოხსნეს და მის გვარს აღარ დავასახელებ. პრემიერს ხოკრიშვილთან მეორედ დავარეკინე, მასთან მივედი და ჩხუბი დავუწყე — ნორმაში ხართ, რას აკეთებ-მეთქი?! ვუთხარი — ეს ყველაფერი რომ გახმაურდეს, ჩვენი ოპონენტები არ გეტყვიან, რა ეკონომიკაზეა საუბარი, როცა მილიონიანი ქარხანა გაჩერებულია-მეთქი?!

**— თქვენ საქმეში პრემიერის ჩარევა რატომ დაგჭირდათ, მაშინ, როდესაც ამ ქარხნის საშუალებით ადამიანების დასაქმებას და ბიუჯეტში სახსრების შეტანას აპირებთ? ხელისუფლება ბიზნესს ხელოვნურ პრობლემებს უქმნის?**

— ტყის მაფია ძალიან ცუდია. წინა ხელისუფლების პირობებში, ამ ქარხნის დირექტორი და ფშაველი ლუკა რამაზაშვილი დაიჭირეს და შვიდი წლით ციხეში მოგონილი ბრალდებით ჩასვეს. იმდენი ვიჩხუბეთ, რომ ეს ნაომარი კაცი ციხეში ჩასვეს. ეს საქმე ყველამ იცის. სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა იცით, რა მითხრა, რომელსაც პროფესიონალი ჰქვია? — ექვს კომპანიას ხე-ტყეზე ლიცენზია 2010 წელს აქვს მიცემული და მათ მასალა ქუთაისში მიაქვთო. ეს რატომ ხდება, ეს სხვა საკითხია კიდევ.

**— რატომ ხდება, რას გულისხმობთ?**

— ამ საკითხზე საუბარი არ მსურს. სამინისტროს ამ წარმომადგენელმა მითხრა, რომ ხე-ტყე შენ რაჭიდან წამოიღე და ესენი კახეთიდან წაიღებენო. ხელმძღვანელი იყო, დარგი ებარა და ვკითხე — ეკონომიკა თუ იცი, ხე-ტყე რაჭიდან რომ წამოვიღო, რა დამიჯდება-მეთქი? მან კი მიპასუხა — ამათ ლიცენზია აქვთო. მერე, ეს ვინ დაავალათ? მაინცდამაინც ჩინელებს უნდა მიჰყიდონ?

**— თუკი ჩინურ კომპანიას ხე-ტყის წარმოებაზე ლიცენზია კანონის შესაბამისად აქვს, სახელმწიფო მათ ლიცენზიას ხომ ვერ ჩამოართმევს, ან რატომ უნდა ჩამოართვას?**

— იმათ დოკუმენტი აქვთ, მაგრამ რა ხარვეზებია, ეს უკვე სხვა საქმეა.

**— რა ხარვეზებზე საუბრობთ?**

— ამ საკითხზე თქვენს ერთ-ერთ კოლეგას წავიყვან და ვითარებას გადავაღებინებ. ვინმე აძალებთ, რომ ხე-ტყე მაინცდამაინც ჩინელებს წაუღონ? მეტს იგებენ? გზაზე რამდენი სჭირდებათ? კახეთში აქვე ვარ და მანქანით აქ უნდა გაიარონ, დატოვონ და ადგილზე ვიყიდი. როცა სამინისტრო და მართვა არსებობს, ეს საკითხები უნდა გადაწყვიტოს. არ მსურდა, რომ ეს საკითხი გახმაურებულიყო, მაგრამ მაინც ვთქვი. მესამე წელია, ხელისუფლებაში ვართ და ეს ქარხნები გაჩერებული რატომ არის? ვიღაცამ ხე-ტყე ჩინეთში უნდა წაიღოს და საქართველოში პარკეტი ჩინეთიდან უნდა შემოვიტანოთ? ესაა ეკონომიკა?

**— ერთი მხრივ, ხე-ტყის პრობლემაზე საუბრობთ, ხოლო მეორე მხრივ, თქვენს ბიზნესს იცავთ. საზოგადოებას შთაბეჭდილება დარჩება, რომ საკუთარ ბიზნესინტერესებს ლობირებთ?**

— რას ვლობირებ, პირიქით, ვამწვავებ. ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში ვიყავი მისული, სადაც ჩართვა ხოკრიშვილს ჰქონდა, რომელიც გერმანიიდან თავს იმართლებს.

**— გარემოს დაცვის სამინისტროს პერმანენტულად აკრიტიკებთ...**

— მათთან ურთიერთობა მაქვს. ვერც ერთი მინისტრი იქამდე ვერ მიდის, რომ ქარხანა ამუშავდეს. ამბავი რომ ავტეხო, ქარხანა გაჩერებულია-მეთქი და აქ 125 ადამიანი დასაქმებული იყო-მეთქი, ამ საკითხს ჩვენი ოპონენტები კარგად გამოიყენებენ. კახეთში ცხვირწინ მოჭრილი ხე-ტყე ქუთაისში მიაქვთ, მე კი, სამინისტროში წამყვანი რომ ჰქვია, მთავაზობს, რომ მასალა რაჭიდან წამოვიღო, ესაა ეკონომიკა?

**— ამ საკითხის გარკვევას ახალ მინისტრ გიგლა აგულაშვილთან შეეცადეთ?**

— აგულაშვილი ჩვენი კოლეგა იყო, მასთან არაფერი მილაპარაკია. ჯერ ვაცდი, რადგან ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. დრო გავა და ყველგან წავალ. მომგებიანი ქარხანა უფუნქციოდ რატომ უნდა იყოს? თუკი წინა ხელისუფლებას სხვა ინტერესები ჰქონდა, ახლა რა ხდება? ის ხალხი აქ ჩამოვა და დიდ მიტინგს მოაწყობს.

**— თქვენ დეპუტატი ხართ, გარკვეული გავლენა და სტატუსი გაქვთ და თუკი ამ ბიუროკრატიულ ლაბირინთებს თქვენ ვერ ართმევთ თავს, წარმოგიდგენიათ, სხვა ბიზნესმენებს რა პრობლემები შეიძლება შეექმნათ?**

— დღეს, ბიზნესს არ აყაჩაღებენ.

**— „დაყაჩაღებას" არ ვგულისმობ, ეკონომიკის ხელშეწყობას და წახალის ვგულიხმობ...**

— თქვენ გსურთ, რომ სხვა თემაზე გადავიდე. ჩვენი საუბრის ლაიტმოტივია ის, რომ ქარხანა არსებობს, რომელიც გაჩერებულია.

**— რაც შეეხება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს, სურსათის უვნებლობის სააგენტო ირწმუნება, რომ ორი წელია, ამ სახის პროდუქტის თაობაზე სავაჭრო ქსელებს ამოწმებენ და მათ გმო პროდუქტი ვერ აღმოაჩინეს...**

— ლაპარაკი იმაზეა, კანონს რატომ არღვევენ, რადგან ეტიკეტზე მკაფიოდ გამოსახული უნდა იყოს, რომ ესა თუ ის პროდუქტი გმო-ა. რომელიმე მარკეტში წაგიყვანთ და ლუპით უნდა დააკვირდეთ, რომ ნახოთ, სად რა აწერია.

**— კანონში გაწერილია სანქციები ისეთ შემთხვევებზე, როცა პროდუქტს ეტიკეტზე გმო არ აწერია და ამ რეგულაციებს რატომ არ იყენებენ?**

— ამ საკითხზე მსჯელობა იქნება და მოწვეული სტუმრები დაინტერესდებიან, კანონს რატომ არღვევენ?! ეს პროდუქტები აზერბაიჯანმა სულ აკრძალა და იქ შეტანაზე ციხეა. თურმე, 800 ტონა გენმოდიფიცირებული თესლი სალაბორატორიო ექსპერიმენტისთვის შემოვიტანეთ. სამივე ლაბორატორიას 10 ტონა ეყოფა და ცხადია, რასაც აკეთებენ. ხოკრიშვილმა კანონი დაარღვია, რომელსაც ჩვენი მოსახლეობისთვის სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს და ამაზე პროკურატურამ, სამართალდამცავებმა იზრუნონ, ჩვენ კი ჩვენი დავაფიქსირეთ.

**— თუკი გენმოდიფიცირებული თესლის საქართველოში შემოტანასთან დაკავშიებით, ბრძანების გამოცემით ხოკრიშვილმა კანონი დაარღვია, ამით საგამოძიებო ორგანოები რატომ არ ინტერესდებიან?**

— ეს უკვე მათ უნდა ჰკითხოთ. ეს თემა წამოვწიეთ, ხალხს დავანახეთ და ახლა სხვამ იზრუნოს.

**თეონა მანაგაძე**

## ინფორმაცია

## დაადგენენ თბოელექტროსადგურებისთვის ტარიფს



**როგორც „ინტერპრესნიუსს" ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან აცნობეს, შპს „ჯიფაუერის", შპს „მტკვარი ენერგეტიკას", შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისათვის" ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 22 ივლისის საჯარო სხდომაზე იმსჯელებს.**

**„მიმდინარე წლის 29 ივნისს, კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა კომპანიებისგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც კომისიის მიერ განსაზღვრულ დროში არ მომხდარა. შპს „ჯიფაუერმა" დოკუმენტაცია 14 ივლისს წარმოადგინა. იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებს შესწავლასა და ანალიზს, კომისია თბოელექტროსადგურებისათვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების დადგენის საკითხებს 22 ივლისის საჯარო სხდომაზე განიხილავს", — ნათქვამია განცხადებაში.**

## რით ვკვებოთ ტვინი?

**დიდი ბრიტანეთის მედიკოსები თავის ტვინის ფუნქციების შესანარჩუნებლად E ვიტამინის მიღების რეკომენდაციას იძლევიან.**

სწავლულები განმარტავენ, რომ ესაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვიტამინი, თუმცა, კი მისი მიღება უმჯობესია საკვებიდან. საქმე ისაა, რომ პრეპარატების სახით მიღებულ E ვიტამინს სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება შეუძლია. არარაფინირებული ზეთის ორ სუფრის კოვზი, ორ კოვზ მზესუმზირაში და მუჭა თხილში ადამიანისთვის მარგებელი E ვიტამინის დოზაა. ასევე ბევრ ვიტამინს შეიცავს ლობიო, მწვანე სალათა, პურის ფქვილი.

## მიგრაციის წყალქვეშა ქვები

**ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა არალეგალურ მიგრანტთა რიცხოვნობა, რაც ადგილობრივ ხელისუფლებასაც და თავად მიგრანტებსაც ბევრ პრობლემას უქმნის.**

ამასთან დაკავშირებით სამიგრაციო ამნისტიას, რომელსაც დროდადრო მიგრანტების დიდი ნაკადების მიმღები ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, სხვების ხელისუფლებები ატარებენ, არაერთი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს.

მართალია, ასეთი პოლიტიკა ბევრ მიგრანტს აფიქრებს, რომ კანონის დარღვევას სასჯელი არ მოყვება, რაც დაუსჯელობის გრძნობას უჩენს. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კანონმდებლობის ნებისმიერ გამკაცრებას მის დამრღვევთა რიცხვის ზრდა მოყვება. საქმე ისაა, რომ „შავ სიებში" მოხვედრის შიშით ისინი სამშობლოში დაბრუნებას ერიდებიან,სამსახურის ოფიციალურად მიღება კი, სტატუსის უქონლობის გამო, არ შეუძლიათ.

## სიბერე კარს რომ მოგადგებათ...

**მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანი მამაკაცებისა და ქალების მაქსიმალურად მიმზიდველი ასაკის დადგენა იყო.**

ტესტირებაში ორი ათასი მოხალისე მონაწილეობდა, რომლებსაც ორი კითხვით მიმართეს: რომელ ასაკშია ზრდასრული ადამიანი ყველაზე მომხიბლავი და რა ასაკში ჩნდება დაბერების პირველი ნიშნები? გაირკვა, რომ ყველაზე მომხიბლავები ქალები 30 წლის ასაკში არიან, სიბერის პირველი ნიშნები კი 41 წლისებს უჩნდებათ. სიბერე გამოკითხულთა აზრით, 55 წლის ასაკში იწყება. მამაკაცური მომხიბვლელობის პიკი 34 წელია, სიბერის პირველი ნიშნები 43 წლისებს უჩნდებათ, მოხუცების სტატუსს კი ძლიერი სქესის წარმომადგენლები 59 წლის ასაკში იღებენ.

გამოკვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ ქალური და მამაკაცური სილამაზის ასაკი უწინ გაცილებით ადრეულ წლებზე მოდიოდა.

## გასეირნება... შიმშილის წინააღმდეგ

**ამერიკელმა მეცნიერებმა დამტკიცეს, რომ 15-წუთიან სიარულს სტრესით გამოწვეული შიმშილის გრძნობის ჩახშობა შეუძლია.**

ამიტომ, ვიდრე მაღალკალორიულ საოფისე ლანჩს მიირთმევდეთ, რომელიც ხშირად, საკმაო ოდენობით ნამცხვრისა და შოკოლადისგან შედგება, სასარგებლო იქნება სამსახურის უბანს ფეხით რამდენჯერმე შემოუაროთ.



## მოფერების დრო

**გავრცელებულია აზრი, რომ რაც უფრო მეტი სძინავს ქალს, მით უფრო მეტად უნდა ინტიმური ურთიერთობა.**

მედიკოსთა მტკიცებით, სექსი — მამაკაცების საბაზისო მოთხოვნილებაა. ამიტომაცაა, რომ სასიყვარულო ურთიერთობებისთვის ისინი მუდამ მზად არიან — მშივრებიც, მწყურვალნიც, უძილონიც, დაღლილებიც...

ქალებისთვის კი სექსი — ყოველდღიური ყოფის სასიამოვნო დანამატია, ამიტომ სასიყვარულო ურთიერთობათა აყოლა მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუკი თავს კარგად გრძნობენ და სხვა პრობლემები არ აწუხებთ. ამიტომაცაა, რომ მათთვის სექსისთვის საუცხოო დროა კარგად გამოძინებულზე.

## გულის „გამმაგრებელი" ვიტამინი

**დიეტოლოგების დაკვირვებით, ნატურალური ცხიმიანი ხაჭო, ყველი და ვირთევზას ღვიძლი — გულისა და გულის სისხლძარღვთა ჯანმრთელობისთვის ყველაზე მარგებელი სურსათია.**

მათი სარგებლიანობის საიდუმლოო მარტივია — ისინი დიდი ოდენობით შეიცავენ ვიტამინი D-ს. დამტკიცებულია, რომ იმ ადამიანებს, რომელთა ორგანიზმში ამ ვიტამინის დიდი შემცველობა აღენიშნებოდა, გულის უკმარისობა, ჰიპერტონია, მიოკარდიის ინფარქტი და ზოგიერთი სხვა სნეულება გაცილებით იშვიათად უვითარდებოდათ.

## ელექტრონული სიგარეტის „სატყუარა"

**ერთობ საგულისხმო დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მედიკოსები: აღმოჩნდა, რომ თამბაქოს იმ მწეველებს, ვინც ელექტრონულ სიგარეტს მოიხმარს, ამ მავნე ჩვევისთვის თავის დანებების გაცილებით, ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე**



**მათ, ვისაც ამისთვის პირი არ დაუკარებია.**

მთელი წლის მანძილზე ექიმები 100 ათას კალიფორნიელ თამბაქოს მწეველს აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ სიგარეტის მოწევაზე საბოლოოდ უარის თქმის ალბათობა ელექტრონული სიგარეტების მომხმარებლებში, „ჩვეულებრივ" მწეველებთან შედარებით, 59 პროცენტით, ხოლო მისი მოხმარების შემცირების შანსი ორჯერ ნაკლებია.

## ზომბირების საფრთხეები

**მეცნიერთა შეფასებით, ადამიანის თავის ტვინის, ელექტრონული ხელსაწყოებისა და გამაძლიერებლების ტექნოლოგიების გაერთიანების პროცესი საყოველთაო ხასიათს მიიღებს. ამ მიმართულებით ამჟამად ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს.**

გარემოს გაკონტროლების მიზნით საკუთარ ხელში მიკროჩიპი პირველმა კიბერნეტიკოსმა კევინ უორიკმა ჯერ კიდევ 1998 წელს ჩაიკერა. როცა ის შინ ბრუნდებოდა, სახლის კარი „თავისით" იღებოდა, ოთახებში სინათლე ინთებოდა, ხელოვნური ხმა კი მიესალმებოდა. შემდგომ „მისტერ კიბორგმა", როგორც მას ჟურნალისტებმა შეარქვეს, კვლევითი რობოტისა და ხელოვნური ხელის მართვა... აზრის ძალით ისწავლა.

მას შემდეგ სხეულში ჩიპებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების ჩამკერებელთა რიცხვი მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება. მათი საშუალებით სავსებით შესაძლებელია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი, თუმცა კი, მკვლევარები იმ საფრთხეზეც მიუთითებენ, რომელიც ასეთი „მეთვალყურეების" ჩადგმას ახლავს. ლაპარაკია პირად უსაფრთხოებაზე, პირადი ცხოვრების დაცვასა და ტოტალიტარულ სახელმწიფოში თავის ამოყოფის რისკზე. თუკი რომელიმე ორგანიზაციას თავის თანამშრომლებზე კონტროლის დამყარება შეუძლია, ამის გაკეთებას განა ვინ შეუშლის? პრივატულობის კიდევ ერთი საფრთხეა დისტანციურად მართული იმპლატანტები: ადამიანი-კიბორგის ორგანიზმში შესხურებულ ამა თუ იმ პრეპარატის მეშვეობით მისი სურვილების, ქცევისა და, რაც ყველაზე სახიფათოა, პიროვნული თვისებების მმართველი ოპერატორის ნებისდა მიხედვით შეცვლაა შესაძლებელი!



ასეთი პრეპარატები ჰორმონალურ ბალანსს ცვლიან, რომლებიც დიდად განაპირობებენ თითოეული ჩვენგანის ემოციებსა და ყოფაქცევას: ვთქვათ, აგრესიასა და უშიშარობაზე პასუხისმგებელია ერთი ჰორმონი, პანიკასა და შიშზე — მეორე და ა.შ. მაშასადამე, გამოდის, რომ „ღილაკზე თითის ერთი დაჭერით" ოპერატორს კიბორგი-ადამიანის ან გმირად, ანდა მშიშარად გადაქცევა შეუძლია!

ამრიგად, ორგანიზმში გარკვეული ტიპის ჩიპების ჩაკერება, თავისთავად, თითქოს ურიგო იდეა არ არის, რადგან მრავალი სნეულების ადრინდელ სტადიაზე დიაგნოსტირებისა და მათი ეფექტიანი მკურნალობის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ყველა სენსორს უკაბელო კავშირის მოდული აქვს, ეს კი, უშიშროების თვალსაზრისით, ყველაზე სახიფათო გარემოებაა, ვინაიდან იმის ალბათობა, რომ პირად მონაცემებზე წვდომა არა მარტო მედიკოსებს ექნება, ძალიან დიდია.

ამიტომაც ნამდვილად ყურადსაღებია ექსპერტთა გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ადამიანთა „ჩიპიზაციას" უდიდესი სიფრთხილით მიდგომა სჭირდება.

## ალერგიის მიზეზია... წყალი

**ალერგიას ხშირად „თანამედროვეობის NI " დაავადებად მოიხსენებენ, რომელსაც უამრავი ნივთიერება იწვევს სტატისტიკით დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 300 მილიონი კაცი სხვადასხვა სახეობის ალერგიას უჩივის, თუმცა კი, ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვლენილი შემთხვევა უნიკალურია: იქ ქალბატონის ორგანიზმს ალერგია... წყალზე აქვს.**

ექიმები ვარაუდობენ, რომ ესაა ეგრეთ წოდებული აკვაგენური ჭინჭრის ციება, რომლის დროს წყალთან ნებისმიერი კონტაქტის დროს კანზე გამონაყარი ჩნდება და ქავილი იწყება. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში იგივე სიმპტომები წარმოიშვება წყლის სმის შემდეგაც კი.

აკვაგენური ჭინჭრის ციება შესაძლოა თევზსა და ზღვისა თუ მდინარის სხვა ფაუნაზე, ასევე ტემპერატურული ციების (სითბოსა და სიცივეზე რეაქციის), ასევე წყალში გახსნილ ქიმიურ მინარევებზე ალერგიის გამოვლინება იყოს. იმის გამო, რომ მისი გამომწვევი მიზეზები სხვადასხვა სახისაა, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში პაციენტმა დეტალური გამოკვლევა უნდა გაიაროს.

## მაღალი ინტელექტის სიკეთე

**მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა თავის ტვინი გაცილებით უფრო დიდ ხანს ეწინააღმდეგება ხანდაზმულობით გონებასისუსტეს, ვიდრე უფრო დაბალი ინტელექტუალური დონის მოსამსახურეებში, ვთქვათ, არაკვალიფიციურ მუშებში.**

გონებასისუსტე, ანუ ფრონტიტემპორალური დემენცია, 65 წლის ასაკის მიღწევამდე იწყებს ჩამოყალიბებას. ამასთან, მეხსიერება არ სუსტდება, თუმცა, ყოფაქცევა არაკონტროლირებადი ხდება, რის შედეგად პრობლემები წარმოიშვება.



პირველი სიმპტომების გაჩენის შემდეგ, ავადმყოფი კიდევ 6-10 წელს ცოცხლობს, თუმცა კი ვინ რამდენს, ამის განსაზღვრა ძნელია.

მეცნიერებმა 83 პაციენტის მონაცემები მათი სამუშაოს შესახებ, სიკვდილის შემდეგ დადასტურებული დიაგნოზის შესაბამისად შეადარეს, რა დროსაც მკაფიოდ დადგინდა კავშირი სამუშაოს სირთულესა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ტერიტორიების ხელში ჩაგდების ახალი ტალღა

**საქართველოს ხელისუფლება ეძებს გზებს, რათა შეაჩეროს რუსი მესაზღვრეების მოქმედებები შიდა ქართლის რეგიონში. გასულ უქმე დღეებში საქართველოს ტერიტორიის სიღრმეებში გაავლეს ახალი სასაზღვრო ნიშნები. შედეგად რუსი მესაზღვრეებისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მხარის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა მიწის 10 ჰექტარზე მეტი ფართობი, მათ შორის ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნაწილიც.**

როგორ შეაჩერონ მცოცავი ოკუპაცია და ხომ არ ემუქრება საფრთხე ბაქო-სუფსის ნავთობსადენს? ეს 2 საკითხი დღეს განსაკუთრებით მწვავედ განიხილება თბილისში. პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები პარალელურ რეჟიმში შეხვდნენ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს, ევროკავშირის მეთვალყურეებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აცნობენ მათ შექმნილ სიტუაციას ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ გორისა და ახალგორის რაიონებში.

10-11 ივლისს რუსი მესაზღვრეები გადავიდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სოფლების წითელუბნისა და ხურვალეთის მახლობლად, აგრეთვე წინ წაიწიეს თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალისაკენ და დააყენეს საცნობი ნიშნები სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის საზღვარზე. შედეგად 10 ჰექტარზე მეტი დამუშავებულია მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნოდა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნაწილი მავთულხლართების იქითა მხარეს აღმოჩნდნენ.

თბილისში მომხდარს უწოდეს რუსეთის მხრიდან მორიგი პროვოკაცია და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში თენგიზ ფხალაძემ ყურადღება მიაქცია კიდევ ერთ ვითარებას:

„ამ პროცესების ესკალაცია და მსგავსი ინციდენტები რატომ ხდება საქართველო-რუსეთის შეხვედრის სწორედ მორიგი რაუნდის წინ? თუ რომელიმე მხარე რეალურადაა დაინტერესებული საკითხის მოწესრიგებაში, ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ხორციელდება ეს მოქმედებები, რომლებიც ძაბავენ სიტუაციას არა მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის, არამედ რეგიონშიც მთლიანად“.

ფხალაძეს მხედველობაში ჰქონდა 15 ივლისისათვის დაგეგმილი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის. ოპოზიციამ კიდევ ერთხელ ეჭვის ქვეშ დააყენა ამ ფორმატის მიზანშეწონილობა. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ურჩია ხელისუფლებას, იმოქმედოს უფრო აქტიურად საერთაშორისო არენაზე:

**„არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, არც ერთ სახელმწიფოს ჯერჯერობით არ გაუკეთებია შესაბამისი განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა არ მუშაობს შესაბამისად ანდა ეს მუშაობა არასაკმარისია. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ხელისუფლებას გადასინჯოს აბაშიძე-კარასინის ფორმატი და განიხილოს მისი გაგრძელების მიზანშეწონილობა“.**

(თავად ზურაბ აბაშიძეს ამ საკითხთან დაკავშირებული განცხადება არ გაუკეთებია. მან წინა დღით მოინახულა გორის რაიონის სოფლები, სადაც მომხდარს „სახიფათო პროვოკაცია“ უწოდა. აბაშიძემ აღნიშნა, რომ აუცილებლად შეეხება ამ საკითხს, თუმცა, მისი კარასინთან შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებს ამ საკითხების განხილვას).

აბაშიძე-კარასინის ფორმატს წარმატებული უწოდა ეკონომიკური თვალსაზრისით ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ. თუმცა, იგი შეეხო კიდევ ერთი ფორმატის შექმნის აუცილებლობას:

„პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენთან მეტად მძიმე მდგომარეობაა (რუსეთთან დაკავშირებით). ამიტომ ჩვენ უნდა მოვიფიქროთ რაიმე ფორმატი, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთობათა მოწესრიგებას, და ჩვენ ამას განვიხილავთ ჩვენს გუნდში.

კახი კალაძის სიტყვების განმარტება გადაწყვიტა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. უწყებაში განაცხადეს, რომ არანაირ სხვა ფორმატზე, გარდა ჟენევის დისკუსიებისა, აგრეთვე აბაშიძე-კარასინის ფორმატისა, საუბარი არაა.

აბაშიძე გახდა ოპოზიციის კრიტიკის ობიექტი სხვა გამონათქვამისთვისაც. „სამშობლოს ღალატი“ უწოდეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ პრობლემების გაჩენის შემთხვევაში ნავთობსადენის მუშაობაში ამ მონაკვეთზე მოინახება ალტერნატიული გამოსავალი“.

კრიტიკის საპასუხოდ კალაძემ შეგვახსენა, რომ ნავთობსადენის მონაკვეთი 1605 მეტრზე აღმოჩნდა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ, აგვისტოს ომის შემდეგ, და ეს არის „წინა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის“ შედეგი.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com



# დედამიწის ზურგზე

## „მწვანეებს“, რომლებმაც ჰიტროუს აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე წოლითი პიკეტი მოაწყვეს, გაასამართლებენ



13 პიროვნება სასამართლოს წინაშე წარსდგება აგვისტოში. მათ ბრალს სდებენ აეროპორტის დაცულ ტერიტორიაზე უკანონო შესვლისათვის. საპროტესტო აქციის გამო ჰიტროუ იძულებული იყო, 22 რეისი გაეუქმებინა.

## ვიდეოს ქსელში აღმოჩნდა ისრაელის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მიერ გამოცდილი „რკინის თაღი“, რომელმაც 2 უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო



გადაღება მიმდინარეობდა სპეციალისტების ვიწრო წრისათვის და იგი არ უნდა მოხვედრილიყო ინტერნეტში, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო ჩანაწერი აღმოჩნდა ვიდეოჰოსტინგის სერვისში. ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო გამოძიება.

## ტაილანდში შემოიღეს სიკვდილით დასჯა დანაშაულებისთვის, რომლებიც კორუფციასთანაა დაკავშირებული



ტაილანდის კორუფციასთან ბრძოლის შესახებ კანონში ახალი შესწორება ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას კორუფციისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით, როგორც ტაილანდის ისე უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის. ამას გარდა, მთავრობამ გაამკაცრა ანტიკორუფციული ზომები, რომელიც საშუალებას იძლევა, მოახდინონ იმ პირთა საგადასახადო შემოწმებები, რომლებიც გამოაშკარავებული იქნებიან მექრთამეობაში.

## თეირანმა და „ექვსეულმა“ ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს



ადრე როიტერის სააგენტო დიპლომატიურ წყაროზე მითითებით იტყობინებოდა, რომ შეთანხმების პროექტში აღნიშნულია, თუ გაეროს ინსპექტორებს როგორ უნდა მიეცეთ საშუალება, შევიდნენ ირანის ყველა საეჭვო ობიექტში, მათ შორის, სახელმწიფო დანიშნულების ობიექტშიც.

## რემბო ისლამისტებს შეებრძოლება



ცნობილი მსახიობი და რეჟისორი სილვესტერ სტალონე „რემბოს“ ბოლო სერიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოლებს. ფილმი, სახელწოდებით „რემბო- ბოლო სისხლი“ ეკრანებზე სავარაუდოდ მომავალი წლის ბოლომდე გამოვა. „ჩვენ გადამღები ჯგუფები გვყავს სირიასა და ერაყში და ადგილობრივებთან ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ რეალისტური ფილმი გამოგვივიდეს,“-აცხადებს 69 წლის მსახიობი.

## ამერიკულ არმიაში ტრანსგენდერებსაც მიიღებენ

ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ტრანსგენდერებიც იმსახურებენ. სამხედრო სამსახურში სქესშეცვლილთა მიღების შესახებ კანონპროექტის მომზადება თავდაცვის მდივანმა შესაბამის დეპარტამენტებს უკვე დაავალა. ეშტონ კარტერის განკარგულებით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც კანონპროექტი უახლოეს ხანებში უნდა მოამზადოს. პენტაგონის შეფის თქმით, წესები, რომელიც ტრანსგერდერებს არმიაში სამსახურს უკრძალავდა, მოძველებულია და ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

## მექსიკის პოლიციამ ციხის თანამშრომლები დააპატიმრა




მექსიკის პოლიციამ ალტიპლანოს ციხის 50-მდე თანამშრომელი დააპატიმრა. ამის მიზეზი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ცნობილი ნარკობარონის ხოაკინ გუსმან ლოერას გაქცევა გახდა. ალტიპლანოს ციხე მექსიკაში ერთ-ერთ ყველაზე დაცულ საპატიმროდ ითვლება, თუმცა გუსმანმა, იგივე ელ ჩაპომ ციხიდან გაღწევა გვირაბის საშუალებით შეძლო. დაკავებულთა შორის ციხის უფროსიცაა. პოლიცია ეჭვობს, რომ ნარკობარონმა ციხის თანამშრომელთა დაშინება და მოსყიდვა შეძლო.

## მუკაჩევოში სროლების საქმეზე „მემარჯვენე სექტორის“ ორი მებრძოლი დააკავეს

„სპეციალური ოპერაციის შედეგად უკრაინის უშიშროების სამსახურმა „მემარჯვენე სექტორის“ ორი წარმომადგენელი დააკავა, ესენი არიან იმ პირთა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ მუკაჩევოს 11 ივლისის მოვლენებში“, განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს სპიკერმა ელენა გიტლიანსკაიამ. როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს „მუკაჩევოში შეიარაღებული კონფლიქტის საკვანძო პიროვნება სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი 32 წლის რომან სტოიკაა.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანზორ ბედოშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანზორ ბედოშვილი (პ/ნ 01001011190), თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 10, ბინა 58;

2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 10, ბინა 58 (საკადასტრო კოდი: 01.11.12.005.011.01.058).

3. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 43889.04 ლარი;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 7 აგვისტო, 11:30 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **მოვალე:** გიორგი ბედოშვილი (პ/ნ 01002007543), თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 10, ბინა 58;

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 აგვისტოს, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია პაიჭაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია პაიჭაძე (პ/ნ 46001003813), ჩოხატაური, ალმაშენებლის I ჩიხი, ბინა №10;

2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ჩოხატაური, კალანდაძის ქ. №8 (საკადასტრო კოდი: 28.01.21.072).

3. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18087.95 ლარი;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 7 აგვისტო, 11:45 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **მოვალე:** მაია პაიჭაძე (პ/ნ 46001003813), ჩოხატაური, ალმაშენებლის I ჩიხი, ბინა №10;

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 აგვისტოს, 11:45 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნაზი ნადარეიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაზი ნადარეიშვილი (პირადი №42001026885), მისამართი: ქ. ფოთი, გურიის ქ. №177/20;

2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №22, სართული 5, ბინა №42 (საკადასტრო კოდი: 04.01.10.024.01.042);

3. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3525.28 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 537.74 ლარს);

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 7 აგვისტო, 12:00 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **მოვალე:** მარინა ჩიტაია (პირადი №51001000116), ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №22/42;

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 აგვისტოს, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

**ალიან-ჩალიანი**

# ტურისტული სეზონი აჭარაში

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი რეგიონის ტურიზმის სტატისტიკას აქვეყნებს, რომელიც აჭარის მასშტაბით რეგისტრირებული განთავსების ობიექტების მონაცემებს ეყრდნობა.**

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, სტატისტიკის მიხედვით, განთავსების ობიექტებში 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში გასულ წელთან შედარებით 2,02%-იანი ზრდა დაფიქსირდა.**

**„აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამიზნე ქვეყნებში არსებული არასახარბიელო სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, ივნისის თვის მაჩვენებლები არა თუ შენარჩუნდა, არამედ მცირედი ზრდაც (0,44 %) დაფიქსირდა.**

**2015 წლის ივნისის თვის მონაცემებით, საქართველოს 496 758 საერთაშორისო ვიზიტიორი ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,3 %-ია.**

**მათ შორის იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,4 %-ით არის გაზრდილი წინა წლის ივნისთან შედარებით. ივნისის თვეში განსაკუთრებულად მაღალი ზრდა დაფიქსირდა რუსეთიდან (+47%), სომხეთიდან (+33%) და აზერბაიჯანიდან (+15%). არამეზობელი ქვეყნებიდან გამოირჩეოდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ყაზახეთი (+40%), ბელორუსი (+56%), ისრაელი (+26%) და გაერთიანებული საამიროები, საიდანაც რეკორდული ზრდა დაფიქსირდა.**

**საერთაშორისო ვიზიტიორების ზრდა დაფიქსირდა 6 თვის მონაცემებითაც. საერთაშორისო ვიზიტიორების ჯამურმა რაოდენობამ 2 332 303 შეადგინა, ზრდამ კი – 3.5%. ზრდის კუთხით გამოირჩევა ბელორუსი (+47%), ყაზახეთი (+32%), ლიტვა (+27%), გაერთიანებული სამეფო (+22%) და გერმანია (+18%). აქვე აღსანიშნავია ზრდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან (+12%)“, – ნათქვამია ინფორმაციაში.**

**ინტერპრესი**

**ყურადღება!**

 იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

ეს პრესტიჟია საქართველოსი!..

# „მზიურში“ 9 ღია და 2 დახურული კორტი იქნება

**ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი 26 ივლისიდან უმასპინძლებს, ჩვენს დედაქალაქში მრავალი სპორტული ბაზა აშენდა. მათ შორისაა „მზიურში“ ჩოგბურთის კომპლექსური სარბიელი ცხრა ღია და ორი დახურული კორტით.** უკვე მწყობრშია ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, ტრიბუნა 550 მაყურებლისთვის, ხუთი კორტი, დანარჩენი ექვსი კი ერთ კვირაში იქნება მზად. 22 ივლისს „მზიურის“ საჩოგბურთო კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნება და სატესტო შეჯიბრებაც გაიმართება, ხოლო 27 ივლისიდან კორტები „თბილისი — 2015“-ის მონაწილეებს დაეთმობა. საქართველოდან ოლიმპიურ ფესტივალში ნიკოლოზ დავლიანიძე, დავით ჭელიძე, ანა შანიძე და ანა მაქაცარია იასპარეზებენ. ქართველ ჩოგბურთელებს მსგავს შეჯიბრებებში უწინ ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული.

**ლექსო ცინცაძე**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**







კალათბურთი

## „მგზავრები-არმიამ“ „ვითას“ შეთავაზება არ მიიღო

**სუპერლიგის მონაწილე საკალათბურთო კლუბმა „მგზავრები-არმიამ“ კლუბ “ვითას“ შეთავაზება არ მიიღო და აღნიშნულ ლიგაში თამაშის უფლება არ მისცა.**

ამის შესახებ „მგზავრები-არმიას“ პრეზიდენტმა, ვეტერანმა კალათბურთელმა ირაკლი შანიძემ განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ახლადაღორძინებული ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ვითა“ ვთბ ლიგის გარდა სუპერლიგაში თამაშსაც აპირებს. ამ მიზნის მისაღწევად „ვითა“ სუპერლიგის მონაწილე გუნდებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ერთ-ერთი მათგანი „მგზავრები-არმია“ იყო, რომელმაც „ვითას“ შეთავაზება არ მიიღო.

2014-15 წლების სეზონის შემდეგ სუპერლიგაში 8 გუნდი გამოდის. სუპერლიგაში თამაშის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან ამ ლიგაში თამაშის მსურველი გუნდი მის ერთ-ერთ მონაწილეს უნდა შეუთანხმდეს, ანაც „ა“ ლიგაში თამაშით უნდა შეეცადოს სუპერლიგის საგზურის მოპოვებას. ბუნებრივია, რომ „ვითა“ შედარებით მოკლე გზით აპირებს დასახული მიზნის მიღწევას.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

## გოგონები - ჩეხეთსა და გერმანიაში, ვაჟები - სან მარინოში

**თბილისელი სოფიო შაფათავა ჩეხეთში იმყოფება და იქაურ 50.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. პირველ წრეში იგი ემა მიკულჩიჩს (ხორვატეთი) გადაეღობება, წყვილებში კი მაგდალენა ფრეჩთან (პოლონეთი) ერთად კაროლინა მუჩოვასა და ბარბარა სტეფკოვას (ორივე-ჩეხეთი) დაუპირისპირდება.** სოფიო ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძე გერმანულ 25.000-იან ტურნირში მოსინჯავენ ძალებს და წყვილებში ერთად ითამაშებენ. მათ განთესვით მეორე ნომერი აქვთ, ხოლო მეტოქედ პირველ წრეში ნორა ენგელმანისა და ლინდა პრენკოვიჩის (ორივე-გერმანია) დუეტი ჰყავთ. ერთეულებში გზიდან გორგოძე ტენა ლუკაშის (ხორვატეთი), ქვაცაბაია კი დალილა იაკუპოვიჩის (სლოვენია) ჩამოშორებას შეეცდებიან.

წინა კვირის შედეგებით განახლებულ რეიტინგში ქართველ ჩოგბურთელ ქალთა საკლასიფიკაციო მაჩვენებლები ასეთია: 244 (277). სოფიო შაფათავა (178), 335 (349). ეკატერინე გორგოძე (113), 407 (383). სოფიო ქვაცაბაია (76), 589 (571). მარიამ ბოლქვაძე (37), 598 (606). ოქსანა კალაშნიკოვა (36), 1033 (1053). თამარ ჭალაგანიძე (7), 1082 (1106). თამარ კუტუბიძე (6), 1116 (910). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (5).

ქართველმა ვაჟებმა სან მარინოს მიაშურეს, სადაც 15-18 ივლისს დევისის თასის გათამაშების მესამე ევროპულ ჯგუფში 12 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მე-2 ჯგუფის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ. ორგანიზატორებმა წილისყრით ეს გუნდები ოთხ ჯგუფში გადაანაწილეს. საქართველოს ნაკრები (ATP რეიტინგის 120-ე ნომერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე, გიორგი ჯავახიშვილი, კაპიტანი ვლადიმერ გაბრიჩიძე) D **ჯგუფში** მოხვდა, სადაც ალბანეთის, მალტისა და ისლანდიის ნაკრებებთან გაარკვევს ურთიერთობას.



**დანარჩენ ჯგუფებში იასპარეზებენ:**

A **ჯგუფი:** კვიპროსი, საბერძნეთი, სან-მარინო.

B **ჯგუფი:** ესტონეთი, ჩეხეთი, ლიხტენშტეინი.

C **ჯგუფი:** მაკედონია, ნორვეგია, სომხეთი.

ნახევარფინალში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

**ლაშა დიდია**

მძლეოსნობა

## „ვერცხლამდე“ 3 სანტიმეტრი დააკლდა

**ტალინში გამართულ 23-წლამდელ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა სიგრძეზე მხტომელმა ბაჩანა ხორავამ ქართველთაგან ამ ასაკში პირველმა მოიხვეჭა მედალი. ჩვენი სპორტსმენი ესტონეთის დედაქალაქში 7.97 მეტრზე გადახტა და მესამე ადგილი დაიკავა.** პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ფაბიან ჰეინლი (გერმანია, 8.14 მ) და რადეკ იუშკა (ჩეხეთი, 8.00) გავიდნენ. საგულისხმოა, რომ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ხორავამ ბაქოს პირველ ევროპულ თამაშებში 17.64 მეტრით ყველას III ჯგუფში აჯობა და თამაშების რეკორდიც დაამყარა.

ტალინშივე იასპარეზა სამხტომელმა ლაშა თორღვაიძემ. იგი 16.33 მეტრზე გადახტა, რაც მე-4 ადგილისთვის ეყო. კვარცხლბეკზე ადგილები კი ასე განაწილდა: 1. დმიტრი ჩიჟიკოვი (რუსეთი, 17.05), 2. გიორგი ცონოვი (ბულგარეთი, 16.77), 3. ილია პოტაპცევი (რუსეთი, 16.46).

დღეს კოლუმბიაში 1998-1999 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება.




ქართველთაგან მედლებისთვის გიორგი მუჯარიძე (ბირთვი), თემურ აბულაშვილი (ბადრო) და საბა კურდღელია (სიგრძეზე ხტომა) იბრძოლებენ.

**გივი გაგუა**

**სურათზე: ბაჩანა ხორავა.**

ინტერნეტიდან

## რეცეპტი ანასტასია ვინოგრადოვასათვის

**რუსი ტოპ-მოდელი ანასტასია ვინოგრადოვა ბოლო დროს ნამეტანი ჩაპუტკუნდა და ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მოდელთა საქმიანობაში ყოველი ზედმეტი კილოგრამი დიდი უბედურებაა, რაც შეიძლება მათ საბოლოოდ ისედაც არცთუ ხანგრძლივი მოდელის კარიერის დასასრულადაც კი დაუჯდეთ.**

რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებაში ანასტასია ვინოგრადოვა თავის ძველ მეგობარს, ვეტერან რუს ჩოგბურთელს ანა კურნიკოვას ესტუმრა, რომელმაც ეს მშვენიერი ასული (ჯანი და ხორცის სიმრთელე ნურასოდეს მოკლებოდეს მას) ჩოგბურთელთა სპეციალურ პროგრამაში ჩართო.



ანასტასია ვინოგრადოვა ამიერიდან ფიზიკურად ზუსტად ისე მოემზადება, როგორც ამას ჩოგბურთელი ქალები აკეთებენ და ეს სავარაუდოდ ზედმეტი წონის მოცილების აუცილებელი პირობაც გახდება, მაგრამ მას არც ის უნდა გაუკვირდეს, თუკი ერთ მშვენიერ, მაგრამ მოწყენილ დღეს საკუთარ ფეხებზე კოხტად გამობურცულ კუნთებს შეამჩნევს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ავტოსპორტი



## აზერბაიჯანი ფორმულა-1-ის კალენდარში

**მეხიკოში ჩატარებულ მსოფლიო მოტოსპორტის საბჭოზე საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი სეზონის კალენდრის წინასწარი ვარიანტი გამოაქვეყნა. ის იმითაა გამორჩეული, რომ 21 ეტაპს აერთიანებს და მასში პირველადაა შესული ბაქოს რბოლა. გარდა ამისა, კალენდარს გერმანიის დიდი პრიზი დაუბრუნდა, რომელიც ფინანსური და საორგანიზაციო პრობლემების გამო ამ სეზონში არ გაიმართა.**

აზერბაიჯანის დამატება ნიშნავს, რომ ფ-1-ის ისტორიაში პირველად ერთ სეზონში 21 რბოლა გაიმართება. შედარებისთვის, გერმანული ეტაპის გაუქმების შემდეგ მიმდინარე სეზონში 19 ეტაპი დარჩა. უნდა ითქვას, რომ ბაქოს რბოლა, რომელიც ევროპის დიდი პრიზის სახელით გაიმართება, მეტისმეტად ცუდ დროს დაინიშნა — ივლისში, როცა იქ აუტანელი სიცხე იცის.

პირველი ევროპული რბოლის სტატუსს კარგავს ბარსელონა, რომელზე ადრეც სოჭის ეტაპი ჩატარდება. ყოფილი ქართული ქალაქის ეტაპი შარშან სეზონის მეორე ნახევარში გაიმართა, იაპონიისა და შტატების ეტაპებს შორის, რაც ლოჯისტიკურად გაუმართლებელი იყო. ამჯერად კი უკეთესი ადგილი მოუძებნეს — 1 მაისი. ფ-1-ის ქარავანი შავი ზღვის ქალაქს ბაჰრეინული ვოიაჟის შემდეგ ეწვევა.

**კობა კობახიძე**

სიმართლე კი ასეთია

# სტალინმა ჰომოსექსუალიზმი და აბორტი კანონით აკრძალა 1933 წელს

## 10 საინტერესო ფაქტი სტალინის შესახებ

**1. სტალინი საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში.**

1917 წელს აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა. ასე გაგრძელდა 1943-მდე. 1943 წელს კი სწორედ სტალინის ბრძანებით აღადგინეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

**2. პარტიის სათავეში ყოფნის პირველი 10 წლის განმავლობაში სტალინმა სამჯერ ითხოვა გადადგომა,** თუმცა მეტწილად ეს განცხადებები კოლეგების შესამოწმებლად იყო გაკეთებული.

**3. სტალინმა ჰომოსექსუალიზმი და აბორტი კანონით 1933 წელს აკრძალა.**

**4. ავტომანქანა „პობედას" შექმნისას ფიქრობდნენ მისთვის „როდინა" (სამშობლო) დაერქმიათ.** ეს ამბავი რომ გაიგო, სტალინმა ირონიულად იკითხა: „და რა ეღირება ჩვენი „როდინა"? მანქანას სახელი მაშინვე შეუცვალეს.

**5. ბესომ და კეკემ 1874 წელს იქორწინეს, მეჯვარეები იყვნენ იაკობ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი.** მალე ახალგაზრდა წყვილს ვაჟი შეეძინა, ეგნატაშვილმა მას გიორგი დაარქვა, 1 წლის შემდეგ ეს ბავშვი გარდაიცვალა, ბესომ ამის შემდეგ სმას უფრო უმატა, მალე გაჩნდა მეორე ვაჟი — მიხეილი, რომელიც 2 კვირისა გარდაიცვალა ბო-



ლოს კი დაიბადა იოსები, ანუ სოსო ჯუღაშვილი, რომელიც ჯანმრთელობის მხრივ სუსტი იყო, იგი 5 წლის ასაკში ყვავილით დაავადდა, ავამყოფობამ სოსოს სახეზე ნაკენკი დაუტოვა, სწორედ „ჩოფურას" სახელით მოიხსენიებდნენ მას სკოლაში...

**6. სტალინის დროს საქართველოში შეიქმნა შემდეგი სამრეწველო ობიექტები: ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანა, რიონჰესი, ზაჰესი და სხვ...** კოლხეთის ჭაობების დაშრობის შემდეგ განვითარდა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, გაიზარდა ღვინისა და მინერალური წყლის წარმოება.

**7. სტალინი ზუსტად იხსენებდა საქართველოს რომელ კუთხეში რა ღვინო მოდის და რა თვისებები აქვს.** ერთხელ ქალაქ იალტაში, ვისკის მოყვარული ჩერჩილისთვის მეგობარს ქართული ჭაჭა ჩაატანინა.

**8. სტალინი ყოველთვის სთავაზობდა სტუმრებს არაყს, მაგრამ ამ დროს ალკოჰოლის მიღებისაგან თავს იკავებდა, რათა სრულიად ფხიზელს ემსჯელა სტუმრებთან.** თუმცა, ეს ხელს არ უშლიდა ზომიერად დაელია ალკოჰოლური სასმელი, სადაც უპირატესობას ქართულ ხვანჭკარას ანიჭებდა.

**9. დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილით დასჯას.** „ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა მთავარმა მონაწილემ მთლიანად აღიარა თავისი საქმიანობა, დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ".

ასეთ მძიმე სიტუაციაში, ვიღაცამ მოახერხა და ივანე ჯავახიშვილის ამბავი აცნობა იოსებ სტალინს. ამ უკანასკნელმა კი კრემლიდან თითი დაუქნია — ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?! ასე გადაურჩა ცნობილი ისტორიკოსი დაპატიმრებას და სუკის ჯურღმულში სიკვდილს.

**10. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა საინფორმაციო წყარო ადასტურებდა, რომ „დიდი ბელადი" მეორე მსოფლიო ომის დროს სულ კრემლის კედლებში იყო ჩაკეტილი და ისე იძლეოდა განკარგულებებს.** ასეა აღწერილი უამრავ ფილმშიც, თავის კაბინეტში მჯდომი, ან გლობუსთან მდგარი სტალინი. თუმცა, როგორც სტალინთან დაახლოებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაიორი ალექსეი რიბინი იხსენებს, ბელადი რამდენჯერმე იყო გასული ფრონტის წინა ხაზზე და პირადად ამოწმებდა საომარ ვითარებას. იგი უფრო მამაცი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი სხვა მაღალჩინოსანი — დასძენს ალექსეი რიბინი. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს, სტალინის ავტომობილი მოსკოვის მახლობლად ღრმა თოვლში ჩაეფლო, ამ დროს გერმანელმა არტილერისტებმა ინტენსიური სროლა დაიწყეს. ბელადი სხვა მანქანაში გადასვეს, ხოლო თოვლში ჩავარდნილი ავტომობილი ტანკით ამოათრიეს. რიბინის თქმით, გერმანელები რას წარმოიდგენდნენ, რომ მანქანაში თვით მთავარსარდალი იყო, თორემ მათთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა იმ ადგილის დაკავება და სტალინის ტყვედ ხელში ჩაგდება.

ეპიტაფია

# გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი ლეო ჩიქავა

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეო ჩიქავა**.



პროფესორი ლეო ჩიქავა დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1955-1969 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი, 1969-1974 წლებში უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, 1974-1983 წლებში კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე. 1983-1990 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დამფუძნებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1990-2006 წლებში. 1997 წლიდან მის მიერ დაფუძნებული პაატა გუგუშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. 1999 წლიდან ბატონი ლეო ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრს. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

1954 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ფართოა ბატონი ლეოს სამეცნიერო კვლევის სფერო. მისი ნაშრომები მიეკუთვნება ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მრეწველობის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის ტერმინოლოგიის პრობლემებს. იგი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან — 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი.

ფართო აღიარება მოიპოვა მისმა მონოგრაფიებმა: „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა" (2008), „ინოვაციური ეკონომიკა" (2006) და „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები" (1987), სახელმძღვანელოებმა: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი" (1997) და „საქართველოს ეკონომიკა" (1995) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ტერმინოლოგიური ლექსიკონი „Економическая и демографическая терминология", რომელიც ეკონომისტების სამაგიდო წიგნია და აკადემიკოსების — პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაუმთავრებელი ნაშრომის საფუძველზე დაასრულა, რითაც მან დიდი ვალი მოიხადა მისი წინამორბედების წინაშე.

ბატონი ლეო იყო მისი ინიციატივით დაფუძნებული საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი და სხვ.

ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით აღიზარდა სტუდენტთა და მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბატონი ლეო ავლენდა მეცნიერის ნიჭიერებას და გასაოცარ შრომისუნარიანობას, ორგანიზატორის პრინციპულობას და ობიექტურობას, ადამიანურ სიკეთეს და მიმტევებლობას. ყოველივე ამის გამო მან ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ბრწყინვალე მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება, მისი კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

**ფრიდონ თოდუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი**

**ლეო ჩიქავა**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამაგდარი პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი, ისტორიკოსთა დიდი მეგობარი და გულშემატკივარი**

**ლეო ჩიქავა**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**საზოგადოება „ზუგდიდელი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის**

**ლეო ჩიქავას**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**
**ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, მურმან ნაჭყებია, კახა არდია, ოთარ ჭითანავა.**

ანონსი

# ამერიკელი ქართველი ავიატორის პატივსაცემად

**საxელოვან ქართველთა სიაში, ვისაც მე-20 საუკუნეში, ისტორიის ქარტეხილთა გამო, თითქმის მთელი ცხოვრების გატარება და მოღვაწეობა უცხოეთში მოუხდა, ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი. უდიდესია მისი წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის განვითარებაში.**

**2013 წლის 25 დეკემბერს ჩვენში ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) საერთაშორისო საზოგადოება დაფუძნდა, რომლის თაოსნობით 14 ივლისს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საზეიმო ღონისძიება გაიმართა,**



**რომლის შესახებ ვრცელ მასალას ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია სამძიმარს უცხადებს ამავე აკადემიის წევრს, პროფესორ როზა გაბეჩავას მეუღლის**

**ჯემალ მჟავიას**

**გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 16 VII, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-7 კვარტალი, მე-4 კორპუსი, 1 სადარბაზო.**

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.

წკეპლიკა

# „ჟურნალისტო" გრიგოლია, სალაყბო თემა შემოგელია?

**მთელი გადაცემა რომ დაუთმე პაპუაშვილის მიერ რბილად გამოთქმულ სიტყვას სააკაშვილის, ამ მშიშარა მკვლელის მიმართ, რატომ იმას არ იხსენებ, რა სიტყვებით მიმართავდა სააკაშვილი თავის ოპონენტებს, არ იხსენებ ნაციონალების დამცინავ, ბოღმით, ღვარძლით გამონათქვამებს ბატონ ბიძინას, ბადრი პატარკაციშვილის მიმართ. „ბადრის რა უნდა, დედის ტ ...ა უნდა" — დაგავიწყდა? შენ ხომ პირველმა უღალატე ბადრის, ახლა კი ნაციონალების, ნაზღაიძეების სათარეშოდ გახადე „იმედის" არხი. სააკაშვილის, ადეიშვილის დავალებების შემსრულებელო, ნაციონალების რუპორო, გრცხვენოდეს!!!**

**მივმართავ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს: რატომ დუმხართ, მოგწონთ ამ ქალბატონის „რეაქციები"? თქვენი დუმილით შეურაცხყოფთ ბატონი ბადრის ხსოვნას.**

**აღმაშფოთებელია 12 ივლისს „იმედის" არხზე გრიგოლიას გამოსვლა „ჟვანიას საქმესთან" დაკავშირებით. უზნეობის დემონსტრაცია იყო! როდემდე უნდა ატალახებდეს ეს ქალბატონი „იმედის" არხს და შეურაცხყოფდეს საზოგადოებას, როდემდე?**

**ლონდა მდივანი**

## ჩვენი კარაბადინი

# ბალახით - კიბოს წინააღმდეგ



მცენარეული ექსტრაქტები ქიმიოთერაპიას ცვლიან

**რუსმა მეცნიერმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იგორ დეგტერიოვმა მონახა ნივთიერება, რომელსაც შეუძლია „ააფეთქოს" სიმსივნე შიგნიდან.**

„დღეს ონკოლოგიასთან ბრძოლისათვის მკურნალობის სამ ძირითად მეთოდს იყენებენ (როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან შეხამებით) — ქირურგიას, ქიმიოთერაპიას და რადიოთერაპიას, — ამბობს იგორ დეგტერიოვი. — ოპერაცია საშუალებას გვაძლევს მოვიშოროთ სიმსივნე, თუმცა, იგი უძლურია მეტასტაზების წინაშე. ქიმიოთერაპია და რადიოთერაპია (დასხივება) ზემოქმედების სუპერაგრესიული მეთოდებია: ისინი არა მხოლოდ ანადგურებენ კიბოს უჯრედებს, არამედ აზიანებენ ჯანსაღ ქსოვილებს, ამიტომ ასე მძიმედ გადააქვთ ისინი პაციენტებს. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, კიბოს მკურნალობის „სამიზნე" და დამნდობი მეთოდი — ერთადერთი ყველა არსებულიდან, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვსპოთ სიმსივნე ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ არც ერთ ჯანსაღ უჯრედს და არ გავაუარესოთ პაციენტის მდგომარეობა. ესაა ფოტოდინამიკური თერაპია, რომელიც განვითარების სტადიაში იმყოფება".

### ზუსტად მიზანში

**„ავაფეთქოთ" სიმსივნე შიგნიდან და არ დავაზიანოთ გარშემომყოფი ქსოვილები შეიძლება, თუ მის უჯრედებში არსებულ ჟანგბადს ტოქსიკურ პროდუქტად გადავაქცევთ, — განმარტავს პროფესორი. — ეს ფოტონის (წითელი შუქის) დახმარებით ხდება, რომელიც ჟანგბადს ძლიერ დამჟანგავად აქცევს".** მაგრამ უბრალოდ მივასხივოთ სიმსივნეს საკმარისი არაა — იმისთვის, რომ მოხდეს რეაქცია, აუცილებელია განსაკუთრებული ნივთიერება — დამაჩქარებელი (ფოტოსენსიბილიზატორი), რომელიც კიბოს უჯრედებზე სინათლის დარტყმას მომაკვდინებელს ხდის. მთელი მნიშვნელობა ისაა, რომ ასეთი ნივთიერებები ცოტაა და ისინი ძალიან ძვირია. სწორედ ამიტომ ფოტოდინამიკურ თერაპიას უკიდურესად იშვიათად იყენებენ. იგორ დეგტერიოვმა, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტში დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების მექანიზმს, ივარაუდა, რომ ასეთ ძვირ და დეფიციტურ ფოტოსენსიბილიზატორებს შეიძლება შეიცავდნენ მცენარეებიც. ბუნებას განა შემთხვევით ეძახიან ყველა წამლის დედამთავარს! მცენარეული პრეპარატები კი არა მხოლოდ ხელმისაწვდომია ფასის მიხედვით, არამედ უფრო მსუბუქიც ზემოქმედებით. პროფესორმა დეგტერიოვმა, განათლებით ქიმიკოსმა, გააკეთა ნაწურები მცენარეებისგან, რომლებსაც პერსპექტიულად მიიჩნევდა, და ანალიზი გაუკეთა მათი ჩაყლაპვის სპექტრებს. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა — აღმოჩნდა, რომ მცენარეული ექსტრაქტები არა მხოლოდ ნთქავენ სინათლეს სპექტრის საჭირო დიაპაზონში, არამედ ახდენენ მათ ფლუორეცირებას (გამოასხივებს იმავე ვითარებაში), რაც აძლიერებს მათ მოქმედებას.

2009 წელს პროფესორმა დეგტერიოვმა მიიღო ბრაზილიის ჯანმრთელობის დაცვის გრანტი ახალი ფოტოსენსიბილიზატორების ძიებაზე და დასავლეთ ამაზონიაში გაემგზავრა. შესაბამისი მცენარეები მალე მონახა და უკვე 2012 წელს პროფესორმა (ბრაზილიელ კოლეგებთან ერთად) მიიღო ორი პირველი პატენტი გამოგონებაზე. 2013 წელს პროფესორი სამუშაოდ ბალტიის კანტის სახელობის ფედერალურ უნივერსიტეტში მიიწვიეს. „მაშინ პრეზიდენტის პროგრამით გამოიყო გრანტები ფუნდამენტური გამოკვლევებისთვის 9 ფედერალურ უნივერსიტეტში, — გვიხსნის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბალტიიის ი.კანტის სახელობის ფედერალური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ცენტრის დირექტორი ვლადიმირ ვანაგი. — პროფესორ დეგტერიოვს ლაბორატორიის მოწყობისათვის 500 ათას დოლარს დაჰპირდნენ".

### სამშობლოს არ სჭირდება?

**მაშინვე გაირკვა, რომ ფოტოდინამიკური თერაპიის გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ონკოლოგიით. აღმოჩნდა, რომ ამ მეთოდს შეუძლია შეცვალოს ანტიბიოტიკები. არადა, ანტიბიოტიკებისადმი არამგრძნობელობა დღეს მსოფლიოში №1 პრობლემაა.**

თითქოსდა, ახალი აღმოჩენა კართანაა. მაგრამ... მოწყობილობა ლაბორატორიის მუშაობისა და შექმნისთვის არ იქნა შეძენილი, გეგმები ასევე დარჩა ქაღალდზე. მოლოდინში ერთი წლის შემდეგ და მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ დაპირებული ფული დაიხარჯა სხვა პროექტებზე, იგორ დეგტერიოვი დაბრუნდა ბრალიზიის უნივერსიტეტში.

„ამბობენ, რომ მეცნიერებისთვის სულ ერთია, თუ სად მუშაობენ — ოღონდ იყოს სათანადო პირობები, — ირონიით ამბობს პროფესორი. — ოღონდ უნდა გესმოდეს, რომ ახალ ეფექტიან წამალს მოაქვს უზარმაზარი შემოსავალი, მილიარდობით დოლარს რომ ითვლის. და ამ შემოსავალს მიიღებს სახელმწიფო, რომელმაც სახსრები ჩადო ამ წამლის დამუშავებაში".

ოდნავ გამშვიდებს მხოლოდ ერთი გარემოება. ბრაზილიაში იგორ დეგტერიოვი აგრძელებს მუშაობას თავისი ქვეყნის დროშის ქვეშ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის მიერ მიღებული პაციენტი იქნება არა მხოლოდ ბრაზილიისა, არამედ მისი ქვეყნისაც.

ЗДОРОВЬЕ

## მილოცვა



დღეს ქალბატონი **ელენე (ლენა) იროდიონის ასული კუჭუხიძის** დაბადების დღეა, თქვენ ოჯახთან ერთად მეც ვუერთდები ამ სიხარულს, უფალს შევთხოვ დიდხანს გვიდღეგრძელოს თქვენი თავი.

**სიყვარულით**
**თენგიზ ქავთარაძე**

## რას არ გაიგონებ

# 12 უცნაური სამსახური, რომელთა არსებობაც გაგაოცებთ

**დღეს** უკვე შესაძლებელია ადამიანის დაქირავება ნებისმიერი საქმის შესრულებისთვის. მაგალითად, ძაღლის გასასეირნებლად, ავეჯის ასაწყობად და ა.შ. თუმცა, არსებობს გაცილებით უფრო უცნაური სამსახურებიც. მათ შორისაა მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე საშიში **გველების მწველავები,** რომლებსაც შხამის ექსტრაქტის მოსაგროვებლად ქირაობენ. გველის შხამს შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებების დასამზადებლად იყენებენ და ერთი გრამი 1000 დოლარი ღირს.

უცნაურ სამსახურებს შორის პროფესიონალი **მეჯვარეების** სერვისიც მოხვდა. ქორწილში ერთი პროფესიონალი მეჯვარის დაქირავება 300-დან 2000 დოლარამდე ღირს. აქვე აღსანიშნია **დამტირებლების** პროფესიაც, რომლებსაც ახლობლების დასაფლავების დროს ქირაობენ. ისინი საათში საშუალოდ 70 დოლარს იღებენ.

ალბათ, ადამიანების დიდ ნაწილს არც **აისბერგების მიმომფანტველის** შესახებ სმენია. ისინი ძირითადად აშშ-ში არიან ცნობილები, რომლებიც გემების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფენ, ხოლო, ვინც ძაღლების სპორტულ აქტივობებზე ზრუნავს, მათთვის **სერფინგის ინსტრუქტორებს** ქირაობს. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილები, სადაც მხოლოდ ძაღლები დგებიან სერფინგის დაფაზე. მათი კეთილდღეობისთვის არის ასევე **ძაღლის საკვების დამგემოვნებლების** პროფესიაც. ეს ადამიანები ამოწმებენ შინაური ცხოველების საკვების ხარისხს და მის შემადგენლობას. ცხოველებთან დაკავშირებულ პროფესიებს შორისაა **წიწილების სქესის განსაზღვრაც**. ისინი წიწილის სქესს მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობით საზღვრავენ. მათ ძირითადად მსხვილი ფერმები ქირაობენ, შედეგად ისინი წლიურად 60 000 დოლარს გამოიმუშავებენ.



არის კიდევ ერთი უცნაური პროფესია **„სახის კანის შემგრძნობი სპეციალისტები",** რომლებიც საკუთარი ხელებით ამოწმებენ ამა თუ იმ ლოსიონის, სახის გამწმენდისა და თავის მოვლის სხვა საშუალებების ეფექტურობას. ისინი საათში 25 დოლარს გამოიმუშავებენ.

მათთვის, ვინც თავს მარტო გრძნობს, შეუძლია დაიქირაოს **„მეგობარი",** რომელიც მას ჩაეხუტება, თანაუგრძნობს და დაამშვიდებს. ამისათვის კი საათში 80 დოლარი უნდა გადაიხადოს. და ბოლოს, არსებობენ პროფესიონალი **რიგში მდგომელები,** რომელთა დაქირავებაც შეგიძლიათ მაშინ, თუ თქვენ ნებისყოფა არ გყოფნით რიგში იდგეთ დიდი ხნის განმავლობაში. რიგში მდგომელები კვირაში 1000 დოლარს გამოიმუშავებენ.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— შვილო, ჩიტმა მითხრა, შენ ნარკოტიკებს ღებულობ.**
**— როგორც ჩანს, შენ უფრო ღებულობ მათ, რაკი ჩიტებს ელაპარაკები.**

* * *

**ედისონს, რომელიც ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიზუსტისადმი მიდრეკილებით, ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა:**
**— სად მოეწერა ხელი დამოუკიდებლობის დეკლარაციას?**
**და ედისონმა ზუსტად უპასუხა:**
**— ბოლოში, სერ. დოკუმენტებს მუდამ ბოლოში აწერენ ხელს.**



* * *

**— ბრალდებულმა რაბინოვიჩმა, — ამბობს პროკურორი, — ჩაიდინა იშვიათი მოხერხებულობით, მდიდარი ფანტაზიით და უკიდურესი უტიფრობით გამორჩეული დანაშაული.**
**— ეს პირფერობა თქვენთვის დაიტოვეთ, მაინც არ გამოვტყდები, — უპასუხებს ბრალდებული.**

* * *

**— როგორ გამოიმუშავეთ პირველი მილიონი? — ეკითხებიან ბელორუს მილიონერს.**
**— გადავახურდავე 70 დოლარი...**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24